ყველაფერი სპორტზე

ლელა

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 151 (12 527) 30 ივნისი ორშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პლაჟბურთის ნაკრები პეკინის ოლიმპიადაზე

»»» 13

ლირსეული ჩემპიონი

ესპანეთი, 44 წლის შემდეგ

ფინალის პერიპეტიები »»» 8-9

ინტერტოტოს თასი. პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩი

ჩვენგან საჭურჭნი ძალიან შორსაა...

ლოკომოტივი-ეტცელა (საქართველო) ლუსტენოვერგი

2:2

პირველი მატჩი 0:0

28.06. თბილისი. ს. ვესსი

700 მაყურებელი

0:1 და ლუფი (22), 1:1 ჩირაკაშვილი (28. სამხარაძის პასი), 2:1 ალექსიძე (30. დარასელიას პასი), 2:2 ა. ლევკინ (83. პენალტი).

ლოკომოტივი: ბაითიშვილი - ფოფხაძე, გუშარაშვილი, ფარფალია, სარალიძე - სამხარაძე, ზ. ჩხეტიანი, ჩირაკაშვილი, დარასელია (71. დ. ჩაგელიშვილი), ბარბაქაძე - ალექსიძე

 სამუშაო რიგში: დეკეზანაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ბუდალაშვილი, კაჭარიძე, გულორდავა, ქუხილავა

ეტცელა: ფალეი - ენნგელდინგერი, ჰოფმანი, პლეინი, ფეფერშმალი - ფერნანდეს(75. ბერნრაფ), ჩ. ლევკინ (57. პერეირა), რემალი, ა. ლევკინ, და ლუფი - ბონა (70. ლოპეს მონტეირო)

სამუშაო რიგში: დიდერიხი, რეიტერ, ალკეში

გაფრთხილება: ბარბაქაძე (5), ენგელდინგერი (32), სამხარაძე (44), გუშარაშვილი (60), ფარფალია (75), ბაითიშვილი (81), ა. ლევკინ (84), ბერნრაფი (85)

არბიტრი: ბ. რადოვანოვიჩი (ჩერნოგორია)

4 წთ. ალექსიძე-ჩირაკაშვილის ლაბაზი კომბინაცია დარასელიას დარტყმით დასრულდა, მაგრამ სტუმართა მეკარემ იყოჩაღა.

12 წთ. გუშარაშვილის თავური დარტყმა ოფსაიდ არაზუსტი აღმოჩნდა.

22 წთ. 0:1. "ლოკომოტივის" მცველთა და მეკარის შეცდომით კარკადე ისარგებლა დალუშმა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

28 წთ. 1:1. დარასელიას ზუსტ პასს სამხარაძემ ჩინებული გაგრძელება მოუძებნა და ყველაფერი ჩირაკაშვილის ტექნიკურ დარტყმით დასრულდა.

30 წთ. 2:1. დარასელიას ფლანგური პასის შერე ალექსიძემ, როგორც სჩვეია, ეფექტური გოლი ვიგინა.

60 წთ. ალექსიძემ ჩინებული მომენტი ვერ გამოიყენა.

61 წთ. ჩირაკაშვილის ოსტატური პასის მერე დარასელია ახლო მანძილიდან თავით ურტყამდა - სტუმრები მეკარის ზღაპრულმა თამაშმა გადაარჩინა.

68 წთ. ალექსიძის სახიფათო გამჭოლ გადაცემას ჩირაკაშვილმა ვერ მიუსწრო.

75 წთ. სარალიძე-ბარბაქაძის კომბინაცია ალექსიძემ გააგრძელა, მაგრამ ბურთი სტუმართა კარს ოფსაიდ ასცდა.

83 წთ. 2:2. ლოპეს მონტეიროს ნაცვალისთვის დანიშნული პენალტი ლევკინმა ზუსტად შეასრულა.

ინტერტოტოს რეკვიემი

შეშას ახალ პრეზიდენტს **მიშელ პლატინის** ბეერი სანინტერესო სიახლე აქვს ჩაფიქრებული; სანაკრებო თუ საკლუბო დონეზე განსახორციელებელ ყველა ნოვაციას, რა თქმა უნდა, მომბრეც ბეერი პაყავს და მონონაალდველეც. თუმცა, ერთ საკითხში, ალბათ, ყველა ერთსულოვანი იქნება: "ინტერტოტოს თასის" გათამაშება აღარავის სჭირდებას ამ უსახურმა და გუნდებისთვის ფინანსურად ნამგებიანმა ტურნირმა ათი თუ თერთმეტი ნელინადი გაძლო და იმეიათო გამონაკლისის გარდა, ყოველთვის საეჭვო შედეგებთან ასოცირდებოდა. კი, იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა რამდენიმე ცნობილმა გუნდმა "ინტერტოტოს" გზზი უეფას თასის ფინალშიც გააღწია, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მეტ-ნაკლებად ცნობილი გუნდები მერე და მერე ამ ქესამე (!) შემადგენლობით ასპარეზობდნენ; ზოგისთვის კი (განსაკუთრებით - ალბანელელთ ეფრპის ქვეყნების ნარმომადგენლებისთვის)... გამდიდრების წყაროდაც იქცა. თავად განსაკუთ - ტურნირის სახელწოდება ხომ ტოტალიზატორთან ასოცირდება (თანაც, საერთაშორისო მასშტაბის)! ამიტომაც გაჩნდა საფუძველიანი ექვი გასული საუკუნის 90-ინანი წლების ბოლოს, რომ უეფამ ამ ტურნირის ჩატარება სოლიდური საბუქმეიეტერო კანტორების "თხოვნა-მოდარის" მერე გადა-წყვიტა. და აი, ვეღირსეთ - მომავალი სეზონიდან "ინტერტოტოს თასი" აღარ იარსებებს! და, რაც ყველაზე მთავარია, ქართულ ფეხბურთში ერთით ნაკლები სამარცხვინო დღე იქნებაა...

აშკარა-დაუჯერებელი

ყველა და, უპირველეს ყოვლისა, ჟურნალისტებიც დაიღალნენ ქართული ფეხბურთის პერმანენტული ნარუმატებლობით; აღარ ვვინდა ისტორიული ექსკურსის მოწყობა და ეფროტურნირებზე ჩვენი გუნდების სამარცხვინო ასპარეზობებსაც აღარ გვიხსენებთ. აი, "ინტერტოტოს თასზე" რომ ეთამაშებოდათ ქართულ გუნდებს: ხან ბელგიის "სტანდარდის" მესამე შემადგენლობას რომ ვერ უგებდნენ, ხან ყაზახეთში განადგურებას... თბილისის აეროპორტის მოშაკთა დაუდგენრობით რომ ამარილებდნენ და. ასე შემდეგ. მოკლედ, ეჭვები ყოველთვის იყო, არის და დარჩება კიდეც: ეჭვები იმის გამო, რომ ფინანსურად ნამგებიანიათ, ზემოთაც აღვნიშნეთ და, ბოლო-ბოლო, ტრანსპორტის ხარჯებსაც ხომ უნდა ამოიღეს? არა, ეჭვი, მართლაც, საშინელი "რამ" არის და ნამდვილად არ გვინდა დავიჯეროთ, რომ "ლოკომოტივი"-"ეტცელას" მატჩის სცენარი სადღაც "ხსვეგან" იყო "დაწერილი". ისიც არ გვინდა დავიჯეროთ, რომ "ლოკომოტივი" შეგნებულად არ გავიდა მომდევნო წრეში - იქ უკვე რუსეთის "სატურნი" ელოდა და, როგორც ტრიბუნებზე ამბობდნენ, განადგურება გარანტირებული გვქონდა. ვერც იმას დავიჯერებთ, რომ ლუქსემბურგის მეოთხე (!) გუნდი თბილისის "ლოკომოტივზე" ძლიერია, მაგრამ ფაქტი ჯერეტია - მომდევნო ეტაპზე "ეტცელაა"!

გაჯიევს თგილისი არ ვანახეთ

რამენსკოეს "სატურნი" რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე ძეძლებული კლუბია. შემადგენლობაც სოლიდურზე მეტი ჰყავს ჰოლს ერთობ გამოცდილი და ავტორიტეტული მნერთნელი - **გაჯიევი**. როდესაც გაირკვა, რომ "ინტერტოტოს თასის" მეორე ეტაპზე "სატურნის" მეტოქე "ლოკომოტივი"-"ეტცელას" ნყვილში გამარჯვებული იქნებოდა, გაჯიევი სიხარულს ვერ მალავდა. რუსეთის დამსახურებულ მნერთნელსა და ბედაგოგიკის დეცნერებათა დოქტორს (!) თავისი განნყობა არც დაუმალავს: "რამდენიმე ნელინადია თბილისში არ ვყოფილარ და ძალიან მიხარია, ძველ მეგობრებს რომ მოვინახულებ. თანაც, "სატურნის" ახალგაზრდა ფეხბურთელებსაც გამოვცდი - მინდა ნახონ, თუ როგორია ქართველი ქომბეგის წინ თამაში." რა თქმა უნდა, გვესიმოვნა, რომ გაჯიევი ქართველებს ასე აფასებს (ადრეც არაერთხელ დაუუმტკიცებია - იმავე მახარაულის "ანგიშიც"); ანუ, ცნობილ სპეციალისტს ეჭვიც არ ეპარებოდა, "ლოკომოტივი" რომ "ეტცელას" ბარიერს გადალახავდა. თუმცა, ცოტა არ იყოს, ვვეწყინა, რომ თბილისში "სატურნის" ძირითად შემადგენლობას ვერ ვნახავდით. ყოველ შემთხვევაში, "ლოკომოტივის" ფეხბურთელთათვისაც სასარგებლო იქნებოდა დამოცდილი ლეგიონერებისა (**კინსკი, ერიომენკო, ბაფურ გიანი, ტოპინი, დიურიცა, ჰეტრანი**) თუ დამსახურებული რუსი ეკეტერანებისა (**ლოსკოვი, კარიაკა, ვესეევი, იგონნენი, კირიჩენკო**) ნინააღმდეგ ასპარეზობა.

სხვათა შორის, გაჯიევს ძალიან გაუკვირვებია "ეტცელა"-"ლოკომოტივის" პირველი მატჩის შედეგი (0:0): ეტცოლა, თბილისელები "დუბლებით" აპირებენ "ინტერტოტოს თასზე" თამაშს და მაშინ ჩვენც მეორის ნაცვლად მესამე შემადგენლობას გამოვიყენთო. საინტერესოა, რა რეაქცია ექნებოდა დაღესტენელ მნერთნელს, როცა შეიტყობდა, რომ ქართული გუნდი ლუქსემბურგის მეოთხე გუნდმა გამოაგდო?

ზეუფასაღები მატჩის ძრწინვა

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვით "ლოკომოტივე"-"ეტცელას" შეხვედრაზეც. თუმცა სათქმელი არც არაფერია - შედეგი ეფეკტიანურ მეტყველებს. ვინ რა არგუმენტებში უნდა მოიყვანოს (სეზონის დასაასკესია, მეტოქე არ შეფასესეს, ნინა სეზონის მერე არ დაუსვეინათ, ცხელოდა, იღბალმა ზურგი გვაქცია და, ასე შემდეგ), ჩვენ საკუთარ აზრზე ვდგავართ: ლუქსემბურგის გუნდთან (მნიშვნელობა აღარ აქვს, რომელადგილიანია) ვერმოგება სირცხვილია და სხვა არაფერი! ეგ კი არა, **რატომ ალექსიძისა** და **ვიტალი დარასელიას** ოსტატობა და გამოცდილებაც საკმარისი უნდა ყოფილიყო უარიმატიუფესი ტაქტიკით მოთამაშე ლუქსემბურგელთა დასამარცხებელად. არც "ლოკომოტივის" ახალგაზრდა და ერთობ პერსპექტიული მნერთნელების შეფასებას შევუდგებით - რაკმოდაც, ყოველთვის მტკივნეულად რომ აღიქვამენ ჩვენს მოსაზრებებს; თუმცა ერთ კონკრეტულ საკითხში გაგაკნინერდებით დღ საკუთარ აზრს ვიტყვით: მასინანლები ისეთი განლაგებით თამაშობდნენ, არც ფლანგის ნახეკვრამეკვეული ჰყავდათ და არც გარემარბები; ანუ, ნახეკვრადაცვამი ერთი საყრდენი და ერთდროულად ოთხი "შემქმნელი", ერთი მხრივ, შეტევების მრავალფეროვნების გარანტია; თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი ავანტიურული ტაქტიკით მთელი მატჩის განმავლობაში ჩვენი გუნდის ნახევარდაცვისა და თავდასხმის ხაზს შორის დიდი სიცარიელე ჩრიბოდა. მაგრამ, არა - მინც უაზრობად მიგვაჩნია რაღაც მიზეზების მოძებნა.

...მსაჯობა დაგვავიწყდა; იმედია, ქართული კლუბის ხელმძღვანელები ნარუმატებლობას ჩერნოგორიელ არბიტრთა ბრიგადას არ დაბრალებენ. ეგ კი არა, რამდენიმე ეპიზოდში მსაჯების კეთილეკანნყობა მსასინძლათა მიმართ ამკარაზე მეტი იყო; თანაც, თითქმის ყველა საკამათო სიტუაციაში (ჩვენს კარში დანიშნული პენალტი ასპროცენტიანი იყო)...

გია ტუხაშვილი

P.S. "ეტცელას" მთავარმა მწერნელმა ფლორან ალიჯანმ უნდა დაიკვეთოს, პროგნოზისტი ვარო. მატჩის წინა დღეს, "ლელოს" ჟურნალისტი დავით ცაბაძე რომ ჩაეძინა (თავის სტადიონზე), ხვალ რა შედგება ელითო, ალიჯანს ერთობ თამამი პასუხი გაუცია: "ვვიდნა, პირველად ჩვენ გავიტანთო... ჩემი აზრით, მატჩი 1:1 ან 2:2 დასრულდება და მომდევნო ეტაპზე ჩვენ გავალთ." ყოჩაღ, ალიჯან! ყველაფერიც გამოიცნო და, რაც მთავარია, გუნდი მომდევნო ეტაპზე გაიყვანა.



ალექსიძეს გატანა კიდევ შეეძლო

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



ეპ!

- რატომ არ უნდა ნაეგო "ლკომოტივს" ლუქსემბურგულ "ეტცელასთან"?

- იმიტომ, რომ საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა.

- რატომ არის საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა?

- იმიტომ, რომ ჩვენ გვყავდა მესხი, მეტერული, ყიფიანი... ახლა კი გვყავს კახა კალაძე და ეროვნული ნაკრები, რომელმაც ნინა შესარჩევში მხოლოდ ფარერებს აჯობა.

- თუ "დინამო თბილისი" შარშან ორი მაგჩის ჯამში ვენის "რაპიდდთან" 0:8 დამარცხდა, რატომ არის "ლოკომოტივის" ორი ფრე ლუქსემბურგულ გუნდთან მოულოდნელი?

- იმიტომ, რომ ლუქსემბურგი მაინც ლუქსემბურგია, საქართველო კი სულ სხვაა, საფეხბურთო ქვეყანა ვართ მაინც...

კაპათი საჭირბოროტო თემაზე აქ უნდა დამთავრდეს, რადგან არგუმენტები ქრება ან ძალიან სუსტდება - ქართული გუნდები ევროსარბიელზე ნიადაგ ფლავდებიან და რაღა საჭიროა იმის თავზე მოხვევა, რომ არსებობს დიდი საფეხბურთო სინდიკატი და რომ თითქმის ყველაფერი ჩაწყობილია?

გასულ სეზონში უმაღლესი ლიგიდან არგავარდნისთვის მებრძოლ "ლოკომოტივს" ინტერტოტოს თასზე თამაში არ ეკუთვნოდა, მაგრამ ვისაც ეკუთვნოდა, იმან უარი თქვა და თუ საქართველო ამ ტურნირზე გუნდს ვერ გაიყვანდა, უეფა ფეხბურთის ფედერაციას დაუჯარიმებდა. ფედერაციას მხსნელად "ლოკომოტივი" დაუდგა და ის ითამაშა, რაც იცოდა და შეეძლო.

- არა, აქაც რაღაც მამეუნიბაა,თორემ როგორ უნდა ნაგორ რატომ და ვიტალამ ამ ჯუჯა "ეტცელასთან"?

კამათი გრძელდება, ტრივიალურად რომ ვთქვათ the show must go on.

დავით თავართქილაძე

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩიჩილაძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა ველაშვილი**; რედაქტორები: **გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **დავით მაისურაძე**, ფოტო. **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.**

დამფუძნებელი და გამომცემელი **ეს ბაზეთი ველო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მისამართი: **ოსუბანიის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge;** ინდექსი **66435** INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოქვეყნება და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საქართველოს ცამეტი ნავსი ინტერტოტოზე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ლოკომოტივის ტიკი ეტცეტასთან თბილისში გაჩერდა

ᲗᲘᲗᲘᲡ ᲪᲘᲪᲐ-ᲞᲠᲔᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ, **ᲔᲠᲜᲚᲘᲜᲘᲡᲐ** და ავსტრიელი მნვრთველის, **ᲙᲐᲠᲚ ᲠᲐᲞᲐᲜᲘᲡ** იდეამ ფრთები 1961 წელს შეისხა, როდესაც მეკიბაურულ გზაზეი „სპორტში" ფართოდ რეკლამირებული ახალი გათამაშება დაინყო. უეფამ დიდხანს არ აბოგინა ევროპის კონტინენტზე უცხო საკლუბო გათამაშება და 1995 ნლიდან საკუთარ ფრთებქვეშ „შეიფარა" – ლობუნგით, „საფეხბურთო ლატარიები და უეფა" ერთად თამაშის მხარდასაჭერად. გამოდდა ხანი და ამ საზაფხულო ტურნირმაც დრო მოჭამა და ის 2009 ნლისთვის უქმდება... ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი აქ დაამატებდა, ძალიანაც კარგი თუ უქმდება!

მოკლედ, დროა შეეგიკამოთ ჩვენების „მონაგარი". ის რაც ლუქსემბურგის ეკთილმონყობილი სოფლის, ეტლებრეკის (ორი მატჩის ჯამში „გამარჯვებულთა" ენაზე ასეა) გუნდმა დაგვისრულა, 1996 ნელს დაინყო, ერთი ნლის მერე, რაც ინტერტოტოს თასი უეფამ გადაიბარა. ფოთის „კოლხეთი" მე-12 ჯგუფში მოხვდა და.. ყველა, ოთხივე თამაში ნააგო. ზუსტად 12 ნლის ნინათ ფოთში, 30 ივნისს „კოლხეთი" ოეგოსლოვეთურ „ზემენთან" 2:3 დამარცხდა. ამას მოჰყვა საგარეო მარცხი ფინეთში „იაროსთან" – 0:2, ნაგება შინ ფრანგულ „ანეგამთან" – 1:3 და 0:2 ბუქარესტში ადგილობრივ „დინამოსთან" – 0:2. 3 გატანილი და 10 გაშვებული გოლი და ჯილთ ტაბლაზე გრაფაში, ეს იყო ინტერტოტოს თასზე პირველი ქართული გუნდის მონაგარი. მარცხი მარტხად, მაგრამ ესეც სათქმელია – აბა, სად ფეხბურთის უმეცარი „ეტცეტა" და სად ბუქარესტის „დინამო".

1997 ნლის ზაფხულში ინტერტოტოს თასზე თბილისის „მერანმა" ისაპარეზა. ისევ მე-12 ჯგუფი, თუმცა განსხვავებული სეკნარი ქართული კლუბისთვის. პირველი ორი თამაშის ნაგების მეშედეგ (შინ მოსკოვის „ტორპედოსთან" და საბერძნეთში „ირაკლისთან" – ორივე 0:2), აკეკლურმა გუნდმა ზედიზედ ორი მოიგო: ჯერ მალბის „ფლორიანა" გაანადგურა – 5:0 (ქართული გუნდის პირველი გამარჯვება ინტერტოტოს თასზე), შემდეგ სტუმრად ავსტრიული „რიდი" დაამარცხა – 3:1 და ტურნირი ჯგუფში მეორე ადგილზე დასარული, თუმცა პლეი ოფის საგზურს ვერ შენვდა.

1998 ნლიდან ინტერტოტოზე ჯგუფური ეტაპი გაუქმდა, ასე რომ, ასპარეზობამ ოლიმპიური სახე მიიღო. ქუთაისის „ტორპედომ" სომხურ „ერებუნის" უმასპინძლდა და ინტერტოტოს თასის გათამაშების ისტორიაში ქართული კლუბისთვის ყველაზე დიდი ანგარიშით მოიგო – 6:0. საპასუხო მატჩი 1:0 დასრულდა. მეორე წრეში „ტორპედო" ბელგიურ „ლომელს" ეომა, სტუმრად 1:0 მოუგო კიდეც, მაგრამ, სამნეხაროდ შინ 1:2 დამარცხდა და სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით მესამე წრეში „ლომელი" გავიდა.

1999 ნელს თასზე ისეე ფოთის „კოლხეთი" გამოჩნდა და ქართული კლუბისთვის შეუფერებელი შედეგიც პირველად დაფიქსირდა, „კოლხეთი" ორჯერ დამარცხდა მაკედონიის აკემენტარნიცასთან" – 2:4, 0:4 (საქართველოში!).

2000 ნელს ტურნირზე თბილისის „დინამოც" გამოჩნდა. კენჭისყრამ „დინამო" ძველ „ნაცნობს", ლიეტს „სტანდარდს" გადაუყარა. სამნეხაროდ, ვერც ბურსასთვის მოხერხდა და ვერც სრულფასოვანი რემატჩი – ბელგიელებმა ლამის დუბლები რამოიყვანეს თბილისში, მათ კი მოთამაშე-მნერთნელის, **რევაზ არველაძის** „დინამო" დაუპირისპირდა – 2:2. საპასუხო მატჩი ბელგიაში „სტანდარდისთვის" ხელსაყრელი ფრით (1:1) დასრულდა.

მესამე ათასწლეულის პირველ სეზონში პირველი ბარიერი მეორედ გადალახეთ, ეს „ვიტ ჯორჯიოამ" შესძლო. ქართველმა კლუბმა ისევ ავსტრიული „რიდი" დაიბრიყვა, „ვიტ ჯორჯიამ" თბილისში 1:0 მოიგო, სტუმრად კი 1:2 ნააგო და მეორე წრეში გავიდა. ნიტა არ გასულიყო – მეორე წრეში „ვიტ ჯორჯიამ" ინერტტოზე ახალი ქართული ანგარეკორდი დაამყარა, საფრანგეთში „ტროასგან" 0:6 ოგვეგმა. საპასუხო მატჩის ფრე 1:1 ვერაფერი მალამოა.

ზედიზედ მეორე წელიწადს ინტერტოტზე „ვიტ ჯორჯია" ვიხილეთ. ამჯერად, კლუბმა ვერ შესძლო პირველი წრის გადალახვა, სამაგიეროდ, ალბათ, მორიგ ანგარეკორდს გადავეწრით. „ვიტ ჯორჯიამ" სტუმრად 1:3 ნააგო „ლოკერენთან", შინ კი ბელგიელებს 3:2 მოუგო.

2003 ნელს უკვე ხუმრობდნენ, ინტერტოტოს თასს სახელი შეეუცვლოთ და "ვიტ ჯორჯიას" თასი დავარქვათო, ვეტერინართა გუნდი ზედიზედ მესამედ გავიდა საასპარეზოდ. „ვიტ ჯორჯია" ვერ გასცდა პირველ ნნინასოს, ამჯერად მტბოქის მოედანზე ნაკლები გაგანილი ბურთის გამო. ქართული გუნდი სტუმრად 0:1 დამარცხდა ავსტრიულ „პაშინგთან" და შინ კი 2:1 მოუგო.

2004 ნელს „ვიტ ჯორჯია" საქართველოს ჩემპიონი გახდა და ამიტომაც „ავდგა" ინტერტოტოს თასს, იქ კი კიდევ ერთი გუნდის ფეხიეტი შედგა – გორის „დილასი". ბულგარეთში გორის „დილა" 0:0 ეთამაშა „მარეკს" და იმედი ჩაგვისახა, თუმცა შინ, თბილისში, მტკად საეჭვო სიტუაციაში, მატჩი ნააგო – 0:2.

2005 ნელს ტურნირს „ვიტ ჯორჯია" დაუბრუნდა და ამჯერად „ლომპარდ-პაპას" გულშემატკივრობა გაახარა. ქართველებმა უნგრეთში მხლოდ 1:2 ნაგეს, მაგრამ თბილისშიც დამარცხდნენ – 0:1.

2006 ნელს სეკნაზე მეორედ გამოჩნდა თბილისის „დინამო" და მესამედ (ქართულ გუნდებთან დაპირისპირებაში) ავსტრიული „რიდი". როგორც იქნა, „რიდის" ჯერიც დადგა და ქართველთაგან დაბრიყვებულმა გუნდმა შური იძია, „დინამო" ავსტრიაში 1:3 დამარცხდა, შინ – 0:1.

მარშან ქართული საკლუბო ფეხბურთის მორიგი სამარცხვინო ფურცელის ჩასაწერად „ზესტაფონის" ჯერი დადგა. იმერული გუნდი ყაზახეთში „ტობოლთან" 0:3 დამარცხდა, საქმეს ვერც საპასუხო გამარჯვებამ უშველა – 2:0. ნლეულს, მართალია, „ლოკომოტივი" არ დამარცხებულა (0:0, 2:2), მაგრამ ლუქსემბურგის „ეტცეტასთან" გაგარდნა მეტისმეტია. მოკლედ, დროულად მოგვისწრო უეფას ინკვიზიციამ. ჩვენი ტოლი და სწორი ალარც ამ დაბალი დონის ტურნირში მოიძებნებოდა.

ნიკოლოზ ნᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲢᲝᲢᲝᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ (1996-2008)

ᲡᲣᲚᲘᲡ: 13

ᲙᲚᲣᲑᲘ: 8 - ვიტ ჯორჯია (4), კოლხეთი (2), დინამო (2), მერანი, ტორპედო, დილა, ზესტაფონი, ლოკომოტივი.

ᲛᲐᲩᲘ: 34

ᲛᲝᲒᲔᲑᲐ: 8

ᲤᲠᲔ: 7

ᲬᲐᲒᲔᲑᲐ: 19

ᲒᲣᲜᲗᲘᲡ: 40-59

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ: II ეტაპზე გასვლა (2); 1998 – ტორპედო; 2001 – ვიტ ჯორჯია.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲘᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ: 1998. ტორპედო 6:0 ერებუნი.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲐᲜᲗᲐᲠᲘᲨᲘᲗ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ: 2000. ტრუა 6:0 ვიტ ჯორჯია.

აქეთ-იქით საგოლე პასი აღამიას სასარგებლოდ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ კლუბი უკვე დაემშვიდობა ინტერტოტოს თასის უკანასკნელ გათამაშებას, თუმცა ტურნირზე კვლავ რჩებიან ქართველ ლეგიონერთა გუნდები. „ლოკომოტივი"-„ეტცეტასს" შემდეგ ყველაზე დიდ ინტერესს ჩვენში სლოვაკური მატჩი ინვევდა, სადაც იქაური ჩემპიონსაც ბრნინჯაოსმედალისანი „ნიტრა" საპასუხო მატჩში ბაქოს „ნეფფჩის" მასპინძლობდა. აქეთ-იქით სამი ქართველი ფორვარი თამაშობს, მასპინძლებში **ირაკლი ლილუაშვილი**, სტუმრებში კი – **გიორგი ადამია** და **გიორგი ჭელიძე**. ლილუაშვილი და ადამია სასტარტოში იყვნენ, ჭელიძე კი საერთოდ არ გამოჩენილა. ბაქოში „ნეფფჩიმ" 2:0 მოიგო და ერთი ამდენი საგოლე მოვნენტი რომ ვერ გამოიყენა, კინაღამ დაისაჯა. სლოვაკები საპასუხო მატჩის 84-ე წუთისთვის 3:0-ს ოგებდნენ. მატჩის 84-ე წუთზე კი „ნეფფჩის" შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა, **კარლოსმა** ადამიას პასით ხეერა და გადამწყვეტი გოლი გაიგანა. მატჩი სლოვაკებმა 3:1 მოიგეს, მაგრამ კარლოსის გოლის წყალობით ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპზე „ნეფფჩი" გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანელები მთელი მატჩის განმავლობაში თავს იცავდნენ, გიორგი ადამიას პირველ ტაიმში ასპრეცენტიანი საგოლე მოვნენტი შეექმნა, მარჯვენა ფლანგიდან მას შეასანიშნავი გადაცემა გაუკეთეს, თუმცა ქართველმა ვერ აჯობა გოლკიპერს, გამეორებითი დარტყმით კი, ბურთი კარს გადაჯაილა. ბოლო წუთებზე „ნეფფჩი" მეოთხე გოლს გოლკიპერმა **მიჩოიჩმა** აიკიდა, რომელმაც აუღებელი კატეგორიის დარტყმა მოიგერია. ირაკლი ლილუაშვილი 64-ე წუთზე შეცვალეს, 2:0-ზე. პირველი გოლი **სემენიმმა** ლილუაშვილის გამმყოლი პასით გაიტანა. ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპზე „ნეფფჩი"ბელგიურ „ფერმინალს" შეხვდება.

ერეკვანში „მიკამ" მოლდოვის „ტირასპოლს" უმასპინძლა. პირველი მატჩი 0:0 მორჩა, საპასუხოში 2:2 კი მოლდოველთათვის გამარჯვების ტოლფასი იყო. „მიკას" სასტარტო შემადგენლობაში ქართველმა ფორვარდმა **ზაზა სახოკიამ** ითამაშა. „მიკა" დამაჯერებლად იგებდა 2:0-ს, როცა აქტიური სახოკია, რატომღაც, შეეცვალეს, ორ წუთში სომხებმა პირველი გოლი გაუშვეს, 74-ე წუთზე კი „ტირასპოლმა" მეორეც გაიტანა. მეორე წრეში „ტირასპოლი" **ვასილ გიგიაძის**, „ბავრიას" გაეგზავნება. **გიორგი შაშიაშვილისა** და **ილია კანდელაკის** „ბეგრში" კი ტურნირში შეორე ეტაპიდან ჩაერთვება და სოლიგორსკის „მატგიორთან" გაარკვევს ურთიერთობას.

ნიკოლოზ ნᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

გიორგი ადამია (მარჯვენე) ნიტრასთან მატჩში

ᲒᲐᲬᲘᲚᲔᲒᲣᲚᲘ ᲛᲮᲒᲔᲠᲐᲕᲘ. ᲘᲜᲢᲘᲠᲕᲘᲣ ᲒᲔᲜᲐᲚᲘ ᲙᲝᲡᲢᲘᲚᲔᲕᲘᲗᲐᲜ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲔᲚᲝᲓᲘ

გენადი კოსტილევი

ᲘᲜᲢᲔᲠᲢᲝᲢᲝᲡ გათამაშების მეორე რაუნდში, რუსეთი "სატურნი" მეტოქედ ალბათ, თბილისის "ლოკომოტივს" ელოდა, მაგრამ ხელში ლუქსემბურგული "ეტცეტა" შერჩა. "სატურნის" ნარმომადგენლები ამ გუნდების პირველ მატჩს ეტალონურად დაესწრნენ. თბილისური თამაშის სანახავად და მეტოქეზე ინფორმაციის მოსაპოვებლად კი, რუსეთმა თბილისში ვენადი კოსტილევი გამოუშვეს. სხვათა შორის, კოსტილევმა კარგად იცის ქართველი ფეხბურთელების ფასი. სამჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებში მნრთნელობისას კოსტილევმა ზაზა რევიშვილსა და მამუკა ფანცულაიას თავისთან უხმო. შაბათის მატჩის შემდეგ ვენადი კოსტილევს გავესაუბრეთ.

- თამამად შეიძლება ითქვას, რომ განმილებული დავრჩი.

- რატომ? იქნებ დააკონკრეტოთ...

- ჯერ კიდევ მაშინ, როცა გაარკვა, "ეტცეტა"-"ლოკომოტივის" ნყვილში გამარჯვებული იქნებოდა ჩვენი მეტოქე, მეც და ჩვენი კლუბის ყველა ნევრი თბილისურ ეუდდთან დაპირისპირებას ველოდით. მით უმეტეს, ლუქსემბურგში ნათამაშები 0:0-ის შემდეგ. ქართველი ფეხბურთელის ფასი კარგად ვიცი, დღეს კი... "ეტცეტასთან" თბილისური მატჩის სანყისი 10-15 წუთი ენახე თუ არა, უსმენ "ლოკომოტივის" შესნავლილ დავინნე ტაქტიკურ სქემა, განლაგება, ფეხბურთელები (ალ-ალ,ეკ ჩაენიშნნე... არა ერთი საგულისხმო ჩანაწერი გავაკეთე. ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ "ლოკომოტივი" ამ ბარიერს გადალახავდა. იმსაც კი ვფიქრობდი, თუ რომელ სასტარტოში უნდა დანინაკუნელიყო ჩვენი "სატურნი" საქართველოს სტუმრობისას.

- როგორ ფიქრობთ, მაინც რის ხარჯზე გავიდა "ეტცეტა" შემდეგ ეტაპზე?

- ბოლომდე ბრძოლისა და თავგამოდების ხარჯზე. ისეთი მთამბეჭდილება დამრჩა, ქართველებმა 2:1-ის შემდეგ საქმე მოთავებულად ჩათვალეს, მინიმუმ სამი გოლი მაინც უნდა გაეტანათ. ,შესაძლოა, მეტოქის სათანადოდ შეუფასებლობაც იყო თბილისელთა ნარუმატებლობის მიზეზი. არ ვიცი, სხვა რა გითხრათ, ცოტა არ იყოს, გაოგნებული ვარ.

დავით ᲪᲐᲑᲐᲫᲔ

დევდარიანი ორპუსშია

რატომ მოჰკიდა ამ საქმეს ხელი ბენეშმა

2007-08 სეზონში ეროვნული რემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფეხბურთელი **დავით დევდარიანი** გუშინ, დანიურ "ორპუსში" ჩავიდა. ჩვენებური ამ გუნდში ჯერ არ ჩაუჩიტიგავთ, დევდარიანს რამდენიმე ვარჯიშზე დაა,ავირდებიან და ტრანსფერის საკითხიც მერეღა გაირკვევა.

რუსთაველ "ოლიმპის" პლეიმეიკერმა განვლილ სეზონში, ახალგაზრდული ნაკრების გარდა, ერთხელ ეროვნულ გუნდშიც ითამაშა - **პეტარ სეგრტმა** ის პორტუგალიასთან ამხანაგურ მეხვედრაში შეიცვლაზე შეუშვა. ტექნიკური, საზრიანი და რბილი მანერით მოთამაშე დევდარიანი ათლეტიზმში მოისუსტებს, თუმც ეს გამოუსწორებელი ნაკლი სულაც არ არის და მისი "ორპუსში" ჩარიცხვა შეუძლებელი არ უნდა იყოს.

დევდარიანის დანიურ ვოიაჟზე "ფინდი არველაძე" იზრუნა, დანარჩენს კი აგენტი **ივან ბენეში** მიხედავს. "ორპუსი" სპეციფიკური კლუბია, დანიის რემპიონატში მაღალი მიზნებისთვის არ იბრძვის, სამაგიეროდ სხვა სარბელზე ყორაღობს - ფეხბურთელების ექსპორტში და რეკვესპორტშია განაფული და ამიტომაც მოჰკიდა დევდარიანის საქმეს ხელი გამოცდილმა ბენეშმა - თუ დევდარიანი "ორპუსში" ჩაირიცხება, იქიდან ბევრად უფრო მძლავრ საფეხბურთო ქვეყანაში გადავიყვანო.

დავით თავართქილაძე

ფრაიბურგმა თარგამაძეს უკვე წლებიც დაუზუსტა

დავით თარგამაძეს, ვინც "ფრაიბურგის" 19-წლამდელთა გუნდში აიუგენდლიგის (A-JUGEND-BUNDESLIGA) რემპიონი გახდა, კლუბმა ოფიციალურად შესთავაზა პროფესიონალური კონტრაქტი - "ფრაიბურგმა" საქართველოს 19 და 21-წლამდელთა ნაკრების შემტევ შუახაზელს ხელმოსაწერად ოთხწლიანი კონტრაქტი გაუშუბადა სისტემით 2+2.

ხელმეკრულება ჯერ ხელმოუწერელია, თუმც მეორე ბუნდესლიგის "ფრაიბურგი" და მისი მთავარი მწვრთნელი **რობინ დუტი** ერთობ მონდიფიბულნი არიან თარგამაძის გადაბირებით. ამ ცოტა ხნის წინათ გაუწყეთ, რომ ბუნდესლიგურ "კარლსრუესაც" სურს ეს ფეხბურთელი. მოკლედ, ფაქტია, რომ თარგამაძემ აიუგენდლიგაში კარგად წარმოაჩინა თავი და ახლა საქმე ასარჩევად აქვს. თარგამაძე 35-ე სკოლის აღზრდილია და გერმანიაში წასვლამდე ლაპარაკი იყო მის "დინამო თბილისში" ჩარიცხვაზე, მაგრამ შეთანხმება ვერ მოხერხდა.

დავით თავართქილაძე

ალექსანდრე ინწკირველი: დინამოში მეტი პერსპექტივაა

თბილისის "დინამომ" „ვიტ ჯორჯიასა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მცველი, ალექსანდრე ინწკირველი შეიძინა. ვეტერანარებიდან „დინამოში" მოხვედრა ჩვეული ამბავი იქნებოდა, მაგრამ ინნკირველმა თბილისელებთან კონტრაქტამდე აზერბაიჯანში, „ყარაბახში" თამაში მოასწრო.

ალექსანდრე ინნკირველი

- აზერბაიჯანულ პრესაში დაიწერა, თითქოს „ყარაბახმა" ტრანსფერზე დაგაყენა. ისიც ვიცით, რომ კონტრაქტი დაგიმთავრდა და ეს ორი ამბავი ერთმანეთთან შეუსაბამობაშია. რეალურად, რა მოხდა?

- რეალურად მოხდა ის, რომ „ყარაბახს" ბოლო ნელს ფინანსურად გაუჭირდა და ლეგიონერების გამვები გადანყვიტეს. ამიტომ ჩემთვის გაუგებარი იყო, რატომ გამოცახადეს, თითქოს ტრანსფერზე დამაყენეს. უკმაყოფილების არანაირი მიზეზი არ ქქონიათ. ბოლო ტურებშიც ვითამაშე და კონტრაქტი დამიმთავრდა. რა შუაში იყო, ტრანსფერზე დაყენება, ვერ მივხედი. მე თავისუფალი აგენტი გავხდი და ფულსაც ვეღარ მიხდიდნენ. რაიონის გუნდი იყო და სტაბილურობა აკლდა.

- ყარაბახის ქართველებიდან რომან ახალკაცი ბაქოს „ოლიმპიაში" ჩარიცხა, შენ „დინამოში", გოჩა ტრაპაიძის ბედი კი უცნობია.

- გოჩა ბაქოში იყო და ახალ კლუბს ეძებდა, მაგრამ ჯერ ისევ უგუნდოდაა.

- აზერბაიჯანში დარჩენის შანსი არ გქონდა?

- გამოჩნდა რაღაც ვარიანტები, მაგრამ თავიდან ვფიქრობ უარი. რაიონის გუნდები იყო, რომელთაც არც უეფას ტურნირებში გასვლის პრეტენზია ჰქონდათ და არც ისეთი ფინანსური მდგომარეობა, დარჩენა სასურველი რომ ყოფილიყო. მეცხრე-მეათე ადგილსაანი აზერბაიჯანული კლუბები არ მიზიდავდა, ეს ჩემს კარიერას ვერ წაადგებოდა. ამ დროს თბილისის „დინამოც" გამოჩნდა და ასარჩევიც არაფერი იყო.

- როგორც ჩანს, „დინამოს" ფინანსურად არ უჭირს, რახან აზერბაიჯანიდან ჩამოგიყვანა.

- არა, არ უჭირს! ძალიან კარგი პირობებია, მომზადებაზე კი ბევრს არაფერს ვიტყვი – თითქმის ევროპული დონეა. ყოველ შემხვედვაში, მე ძალიან ამაყოფილი ვარ. რაც მთავარია, „დინამოში" უეფას ტურნირზე გამოსვლის შანსი მიბრუნდება. ეს ჩემს კარიერას ბევრად წინ წამიწევს. მაგალითად, ფინანსურად „ნეფთჩი" უფრო ძლიერია, მაგრამ ევროპელთა გადასახედიდან, „დინამო" ბევრად სახელიანი და სოლიდური კლუბია. ინფრასტრუქტურითაც აზერბაიჯანულ ლიდერებს სჯობია.

- სათამაშო კლასით თუ სჯობია?

- აზერბაიჯანში ოთხი ძლიერი კლუბია, „ნეფთჩი", „ხაზარი", „ოლიმპიკი" და „ინტერი". მათ დიდი პიუჯეტი აქვთ, მაგრამ „დინამო" ამ ოთხეულზე ნაკლები არაა. ნინ თუ არა, მათზე უკან ნაღდად არ დგას. ლენქორანის „ხაზარმა" თანამგობრობაზე ძალიან გამართული და მაღალი კლასის ფეხბურთი აჩვენა. თუმცა „დინამო" გაცილებით პრესტიტიულია.

- შენი ნასვლის შემდეგ ჩემპიონატის დონე დაეცა, მაგრამ მაინც საჩემპიონო ბრძოლა გაცილებით გამძაფრდა. რას ფიქრობ, წლეულს „დინამო" ჩემპიონობას შეინარჩუნებს?

- მე ძალიან მომწონს, ჩემპიონატი ასეთი დაძაბული რომ გახდა. კონკურენცია თვით „დინამოსთვისაც" უკეთესია, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოწნდება, დაძაბული ჩემპიონატის სიკეთე, რადგან კონკურენცია გუნდს ზრდის. ადრე ასე არ იყო, „დინამო" ტიტულს ოოლად ეუფლებოდა.

ნლევანდელ ჩემპიონატში ჩვენს შანსებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ჩვენთანაც არის რამდენიმე ძლიერი კლუბი, მაგრამ „დინამომ" ყოველთვის ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლოს.

- მოკლედ, ჩვენი საუბარი რომ შეკავგამოთ, მდიდარი აზერბაიჯანიდან გაჭირვებულ საქართველოში დაბრუნდას არ ნანობ?

- რა მაქვს სანანებელი, მე „დინამოში" ჩავრიცხე.

მერაბ მამულაშვილი

ბოლქვაძე სიმურგში დარჩა

დავით ბოლქვაძე, რომელმაც მიმდინარე ნლის დასაწყისში "ამერიდან" "სიმურგს" იჯარით მიაშრა, კვლავაც აზერბაიჯანულ კლუბში იასპარეზებს. იგი შვებულების შემდეგ ზაქათალელებს უკვე შეუერთდა და ახალი სეზონისთვის მზადება დაინყო. "სიმურგი" შეკრებას ბაქოში გადის. ბოლქვაძის გადაბირება დედაქალაქური "სტანდარდის" მთავარ მწვრთნელ **კახა ცხადაძესაც** სურდა, მაგრამ ქართველმა ნახევარმცველმა "სიმურგი" ამჯობინა. ამ გუნდის შემადგენლობაში ბოლქვაძემ 13 ოფიციალური მატჩი ჩააბარა და 4 გოლი გაიგზავნა. "ამერი" რომ ევროასპარეზზე გასულიყო, მისი საქართველოში დაბრუნება უფრო რეალური იქნებოდა.



დავით ბოლქვაძე

ლევან ჯანეზაშვილი

გრიშიკაშვილის მოლდოვური შანსი

სოსო გრიშიკაშვილი კიბინიოვის "დაჩიაში" ისინჯება. საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ყოფილმა მეკარემ მოლდოვური კლუბის შემადგენლობაში უკვე მოასწრო ერთი საკონტროლო მატჩის ჩატარება. კიბინიოვის ცსკა-ს "დაჩიამ" 4:0 მოუგო, გრიმიკაშვილი კი მეორე ტაიმში შეცვალეს. "დაჩიაში" ითამაშეს **ლევან კორღალიძემ, ჯაბა დვალმა** და **სერგი ორბელაძემაც**, რომელიც იქ გასინჯვაზეა. ცსკა-ს პირველი გოლი დვალმა გაუტანა.

გონჩაროვი ოლიმპიკში დაიწვნეს

აზერბაიჯანული ნყაროების ცნობით, **ბორის გონჩაროვი** ბაქოს "ოლიმპიკში" არ აიყვანეს. დედაქალაქური გუნდის შემადგენლობაში ქართველი ფორვარდი რამდენიმე დღის განმავლობაში ისინჯებოდა. გასული სეზონი გონჩაროვმა, ასევე აზერბაიჯანული "მასალის" შემადგენლობაში ჩაატარა.

ლევან ჯანეზაშვილი

დინამო. ამხანაგური მატჩი

ასე ევროპაში შევრცხვებით

მოსკოველებმა ნახევარი ძალით მოგვიგეს

დინამო-დინამო (მოსკოვი)-(თბილისი)

3:0

28.06. თბილისი. მ. მესხი
700 მაყურებელი

1:0 დანი (8. სმოლოვის პასით), 2:0 კ. კომბაროვი (12 დანის პასით), 3:0 დანი (83. ხოხლოვის პასით)

დინამო (მ.): კარჩერმაკუანი (46. ზუნნი), ჩიჩერინი (46. კლიმავიჩუნი), ტანანაევიჩი (46. ტორჩილინი), ფერნანდეზსი, კ. კომბაროვი, ხოხლოვი, დ. კომბაროვი (85. ჩიჩერინი), კრპპოიჩი (46. დენისოვი), დანი, კერეკაკოვი, სმოლოვი (46. ბეზეკოვ).

დინამო (თბ.): ლორია, შ. კაშია, ბ. კვშია, კოშკო, ნერგაძე, ოდიკაძე, დოლეფაშვილი, ხმალაძე, ფორტხალაკა, თომაშვილი, ბუფავა, მერეხაშვილი, ვანაძე.

გაფრთხილებული: შ. კაშია (18), გ. კაშია (67)

მაკარიჩერი: მ. ლაიფუშინი (რუსეთი)

1. 28.06. ბ. სმოლოვის პასით, 2:0 კ. კომბაროვი (12 დანის პასით), 3:0 დანი (83. ხოხლოვის პასით)

2. დანის ჩანოდებულ ეუთოურზე ტანანეიანი დარტყმას შეეცადა, მაგრამ მცველებმა დაუფარეს.

8. მეგეკვა დანიმ მარცხენა ფრთიდან ნაბიჯეო, სმოლოვს გადაანოდა, ამ უკანასკნელმა ერთი შეხებითა და ისეთი პასით დანი ლორიასთან პირისპირ გაიყვანა. დანიმ მეკარეს ბურთი თავზე გადააგლო -1:0.

12. დანი მარცხენა ფრთიდან შეიჭრა, საჯარიმოში ჩაანოდა, კ. კომბაროვმა შორეულ კუთხეში ვაიტანა. 2:0.

20. ხმალაძემ 20 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა.

23. თბილისელების მიერ მონოდებული კუთხეურისას ბურთმა მეკარის ბაქანზე ჩაიქროლა, მაგრამ სტუმრთადაგნ ბურთს ვერავინ მისნეფდა.

32. დანიმ კუთხური სახიფათოდ ჩაანოდა, მაგრამ ლორიამ გამოსულაზე მოიგერია ბურთი.

47. კერეკაკოვის პასით კ. კომბაროვმა დარტყა, მაგრამ აიცილა.

51. დიღმელაშვილის შორეული დარტყმისას მეკარე შუნნი ბურთს უპრობლემოდ დაეუფლა.

53. მარჯვენა ფრთიდან მოთა კაშიამ საჯარიმოში სახიფათოდ ჩაანოდა, მაგრამ გამოსულაზე შუნნმამ საიმედოდ ითამაშა.

58. კომბაროვმა დანი მეკარესთან პრაქტიკულად, პირისპირ გაიყვანა, თუმცა, ერთ-ერთმა ქართველმა მცველმა იმარჯვა და დანის არ დაარტყმეფინა.

59. ნერგაძის პასით ვეფლესანინ სახიფათოდ შეიჭრა საჯარიმოში, მაგრამ შუნნმა ფროულად დატოვა კარი და მეტოქეს აჯობა.

62. დ. კომბაროვიმ მიერ ჩანოდებული კუთხეურისას ტორჩილინმა კარში ძლიერად დაარტყა, მაგრამ სტუმრთა მცველმა მოასწრო და დაუფარა.

68. მოსკოველთა მნვავე სამსეკინანი კომბინაციისას სტუმრთა მცველებმა იმარჯვეს.

72. დანის კუთხურისას კერეკაკოვმა ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი კარს გადაასცილა.

76. კერეკაკოვმა სტუმრებს ბურთი ცენტრში აარიგა, კომბაროვს გადაანოდა, რომელმ დარტყმულთარაშუსტა ალმორნდა.

80. დანიმ საჯარიმოში მნვავედ ჩაანოდა, დმიტრი კომბაროვი თავით შეეცადა ბურთის კარში გადაგზავნას, მაგრამ მეკარე ლორიამ გამოსულაზე დამაჯერებლად ითამაშა.

83. ხოხლოვმა დანი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, ამ უკანასკნელმა ბურთს აჯობა და 3:0.

90. კუთხურიდან ჩანოდებული ბურთი ხოხლოვმა საჯარიმოში მიიღო, სამ მეტოქეს გასცდა, ძლიერად დაარტყა და თბილისელთა კარი ძალმა იხსნა.

მაშ ასე, მოსკოვის "დინამომ" 85 წლის იუბილეე პოსტსაბჭოთა სივრცეში გამორჩეულ სამიე "დინამოსთან" გამარჯვებით აღნიშნა. თბილისელებთან შეხვედრამდე **ანდრეი კობელევის** გუნდმა კიევის "დინამოსთან" 1:1 (გოლი დანიმ გაიტანა) ფრე ითამაშა, პენალტების სერიაში კი უკრაინელები 6:5 დაამარცხა. კიეველთა შემდეგ იუბილრებმა მინსკის "დინამოს" 2:0 სძლიეს.

შაბათს კი მოსკოველები ჩვენს ჩემპიონ "დინამოს" დაუპირისპირდნენ და უპრობლემოდ მოიგეს. **რაინერ ცოტელის** გუნდს მეკარე **დიდე ოვონო**, ფორვარდი **ჯორჯ აკორემი** გაბონის ნაკრებში თამამის გამო აკლდნენ. გიორგი მერებაშვილი და მათე ვანაძე სათადარიგოთა შორის კი იყვნენ, მაგრამ მათი თამაში პრაქტიკულად, გამორიცხული იყო.

რაც შეეხება მატჩს, მთელი 90 წუთის განმავლობაში მოედანზე მოსკოველები დომინირებდნენ. ამის დასტურად შეხვედრის სტენოგრამაც გამოდგება. მეტოქეებს შორის კლასში სხვათა აშკარა იყო - რაღა თქმა უნდა, მასპინძელთა სასარგებლოდ. რუსებმა უპრობლემოდ, შეიძლება ითქვას, ნახევარი ენერგიის დახარჯვის გარეშე მოიგეს. თბილისელებმა მეორე ტაიმში უკეთ ითამაშეს, მაგრამ მაინც ძმრალად დამარცხდნენ. ვინც ეს თამაში ან ფრაგმენტები ნახა, თუნდაც ინლაინ რეპორტაჟს მაინც მიადევნა თვალი, დადგეთანხმება, რომ თუ ჩვენმა ჩემპიონმა გერმანულ შეკრებაზე საგრძნობლად არ მოუმატა და 3-4 ფეხბურთელით არ გაძლიერდა, ევროტურნირზე ნამდვილად შერცხვება.

"მატჩის შედეგი კანონზომიერია. თუმცა, ერთი უნდა აღვნიშნო, რომ სულ ორი კვირაა, რაც მზადება დაეიწყეთ. მოსკოვის "დინამო" კი სეზონის შუა ნელშია. შესაბამისად, მონინაალმდეგემ ფიზიკურ კონდიციებში დაკვეცებმა. რაც შეეხება თამაშს, ჩვენმა გუნდმა მეორე ტაიმში უკეთ ითამაშა. გოლის გატანაც შეგვეძლო, მაგრამ, ეს ვერ მოვახერხეთ. მეტოქისგან მარჯვენა ფლანგზე მეტ პრობლემას ველოდით. არადა, მარცხნივ უფრო გაგვიჭირდა, სამივე გოლი სწორედ იქიდან გაგვიტანეს", - თამაშის შემდეგ გამარჯვულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა თბილისელთა თავკაცმა რაინერ ცოტელმა.

გუშინ, "დინამო" მოსკოვიდან გერმანიას გაემგზავრა. ცოტელის გუნდი იენას ახლოს, ბადლანკენბურგში დაბინავდება. კლუბს იქ მეუღურდებიან გაბონელი ლეგიონერები ოვონო და აკორემი, კიდევ კამერუნელი ფორვარდი **დონალდ ჯოუსი** და ახალნეფეული მცველი **ალექსანდრე ინარეული.** პირველ საკოტრილო მატჩს თბილისელები ბადლანკენბურგის ნაკრებთან 1 იენლის ჩაატარებენ.

დავით ცაბაძე

რაინერ ცოტელის ამხანაგური დებიუტი უიღბლო გამოდგა

თურქმა ფეხბურთელმა ოლიმპში ივარჯიშა

ფორმას აღვიდგენ და ჰოლანდიაში დავბრუნდები

რუსთავის „ოლიმპში" ჩამოყვანილი გიუქან ბაღლლის ბედი უახლოეს დღეებში გაირკვევა. თურქეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, რომელიც ჰოლანდიის პირველი ლიგის „მასტრიხტიდან" საქართველოში ჩამოსვლას დათანხმდა და თავისთავად სანინტერესოა - რაგომ? გიუქანთან გასაუბრების შანსი გაგვიჩნდა და შევეცადეთ, კითხვებზე პასუხები მიგვეღო.

- ქართველი ფეხბურთელებისთვის თურქეთისა და ჰოლანდიის დაბალ ლიგებში თამაშიც ბედნიერებაა, მაგრამ ამ ქვეყნებიდან ჩვენთან ჩამოსული უცხოელი მოთამაშე თითქმის არ მახსენდება.

- ჩემს ოჯახში უმძიმესი ტრაგედია მოხდა, გარდამეცვალა დედ-მამა, ძმები და დამეთანხმებით, ასეთ მდგომარეობაში ფეხბურთის ნორმალური ადამიანი ვერ ითამაშებს. „მასტრიხტიც" დავტოვე, რადგან არ შემეძლო ვარჯიში.

- საქართველოში სტადიონებმა როგორი შთაბეჭდილება დატოვა? ხომ არ შეგეშინდა?

- (იცინის) რუსთავში ნორმალური სტადიონი იყო, თბილისის „ლოკომოტივსაც" არა უჭირს. თუმცა, საშუალოზე დაბალი დონისაა. ევროპის ქვეყნებში გაციელებით უკეთესი მოედნებია. ალბათ, აქ ძალიან რომ ცხელა, იმის ბრალია, არა?

- რა გითხრა, თუ დარჩი, თავადაც გაერკვევი... რუსთავის „ოლიმპთან" შეთანხმებას უკვე მიაღწიე?

- ჯერ არანაირ შეთანხმებაზე არ გვისაუბრია. მხოლოდ ორიოდე ვარჯიში ჩავატარე. ყველაფერი ამ დღეებში გაირკვევა.

- თავად გუნდმა როგორი შთაბეჭდილება დატოვა?

- საკმაოდ ნორმალური გუნდია და მასში არსებული აგმოსფეროც. ძალიან გამიკვირდა, ბიჭებმა ასე თბილად რომ მიმიღეს - ასე მეგობრულად ლეგიონერებს იშვიათად ხვდებიან.

- შენი აზრით, „ოლიმპში" მოახერხებ დამკვიდრებას? მაინც, ექვსი თვის უთამაშებლობა გავლენას მოახდენდა.

- რა თქმა უნდა, საუკეთესო ფორმაში არ ვარ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ საქართველოში თამაშს უპრობლემოდ შევძლებ. მთავარია, კლუბთან შეეთანხმდე.

- როგორც ვიცით, ოჯახური ტრაგედიის შემდეგ კლუბი შეიცვალე. „მასტრიხტის" მერე რომელ კლუბში ჩაირიცხე?

- სუტარდის VSV-ში, რომელიც „მასტრიხტზეთით" ჰოლანდიის რემპიონატის პირველ დივიზიონში თამაშობდა. VSV-ში ფორმის აღდგენისთვის მივედი. თუმცა, მე ისეთ მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ვიყავი, გუელით ვერ ვვარჯიშობდი, ფორმიდან ამოვვარდი. ახლა მინდა, საქართველოში ცოტა სული მოვითქვა და ისევ ჰოლანდიაში დავბრუნდები.

- ბოლოს თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებში როდის ითამაშე?

- სამი წლის წინათ, ამხანაგური მატჩები გვქონდა ჩვეიცარიასთან და საბერძნეთთან.

მერაბ მამულაშვილი

რეპლიკა

რა გვინდოდა ძერჟინსკელებთან?

ქართულ მასმედიაში საკმაოდ რიხიანად გვამცნეს, რომ რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში ტარდებოდა მოსკოვის საფეხბურთო კლუბ "დინამოს" შექმნის 85 წლისთავთან დაკავშირებული იუბილე, რომელზედაც დაპატიჟებულნი იყვნენ მათი თბილისელი თანაკლუბელები.

თავს უფლებას მივცემ აღვნიშნო, რომ სინამდვილეში, რუსეთში ტარდებოდა ლენინის ორდენოსანი, სრულიად საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყების 85 წლის იუბილე. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩეკისტთა იუბილეე-თავყრილობა. გამოძახებულნი იყვნენ კოლეგა-თანაკლუბელები ყოფილი "შოძმე რესპუბლიკებიდან" (კოლონიებიდან): კიევიდან, მინსკიდან, თბილისიდან.

სანინტერესოა, თბილისელი ჩეკისტებიც მემკვიდრეები თუ დაესწრნენ სახელოვანი ორგანიზაციის საიუბილეო სხდომას, სადაც "დინამოს" პირველი თავმჯდომარისა ძერჟინსკის პორტრეტი იყოს ჩამოკიდებული, გასაკვირი არ უნდა იყოს! ბანკეტზე რომ მისი შთამომავლები "რკინის ფელიქსას" სადღეგრძელოს შესვამენ, ეჭვი არავის შეეეპაროთ.

სანინტერესოა, PKKA-ს (მუშათა და გლეხთა წითელი არმიის) კლუბის იუბილეზე თუ იყვნენ სტუმრები "მზიური საქართველოდან"? ჩეკისტი-დინამოელები ხომ სწორედ წითელი არმიის საოკუბაციო ნაწილებს შემოყვნენ 1923-24 წლებში "შეკვარდნელების" ქვეყანაში.

ალექსანდრე ჯინორია

ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲔᲑᲘ

ᲠᲝᲑᲘᲜᲘᲝ 35 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲐᲓ

ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘ ᲚᲔᲛᲞᲐᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲚ ᲐᲠ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲔᲜ...


რობინიოს ლონდონში ელოდებიან

"ᲩᲔᲚᲡᲘᲗ" "რეალს" **რობინიოს** სანაცვლოდ 35 მილიონი ევრო შესთავაზა. ამ ინფორმაციას გუშინდელი as ავრცელებს. გამოცემის მტკიცებით, "არისტოკრატების" ახალი თავკაცი **ლუიზ ფელიპე სკოლარი** კლუბის მფლობელი **რომან აბრამოვიჩსა** და ტრანსფერების მენეჯერ **ფრანკ არნესენს** შეხვდა. ერთსათაანი შეხვედრისას საზაფხულო გეგმები განიხილეს. გადაწყდა, რომ უმთავრესი სატრანსფერო საბჭნე ბრაზილიელი თავდამსმენელი იქნება. იმავე შეხვედრისას, დასახელდა თანხა, რომელსაც ლონდონელები ამ გარიგებისთვის დახარჯავენ.

შეგახსენებთ, რომ 2005 წლის ზაფხულში რობინიო "რეალმა" შეიძინა. 21 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ, სამეფო კლუბმა 24 მილიონი ევრო გადაიხადა. რობინიოსათვის განსაკუთრებულად მძიმე გამოდგა 2006/07 წლების სეზონი, როდესაც მაგრიდელთა მთავარი მწვრთნელი **ფაბიო კაპელო** იყო. კაპელომ ფეხბურთელი თადარიგში გაიაძწყა. რობინიომ მაგრიდიდან ნასვლაზეც კი დაინაო ფიერი. **ბერნდ შუსტერის** მისვლის შემდეგ, მდგომარეობა შეიცვალა.

ესპანური სააგენტოების ცნობით, "რეალი" რობინიოს გაყიდვის წინააღმდეგი არაა. ცოტა ხნის წინათ, ფეხბურთელმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მაგრიდელები ახალი კონტრაქტის შეთავაზებას არ ჩქარობენ. სპეციფიკაციების თანაბმად, სამეფო კლუბს ფული სჭირდება. მას **კრისტიანო რონალდოს** ტრანსფერი სარეკორდო თანხა უუდგება, ამიტომ, თითოეული ცენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, 35 მილიონს.

რობინიო მუუდლესა და შვილთან ერთად ბრაზილიაში იმყოფება და ისვენებს. მოლაპარაკებებს მისი აგენტი **ვიანნერ რიბეირო** ანარმოებს. "რეალი" ახალი სეზონისთვის სამზადისს 14 იულისს შეუდგება. რობინიო მაგრიდში სწორედ ამ დროისთვის ჩაკა. ფეხბურთელს იმედი აქვს, რომ იელისს შეა რიცხვებისთვის საკითხი გადაწყვეტილი იქნება.

დავბრუნდეთ ლონდონში. პარასკევს, "ფრანს ფუტბოლმა" გვაუწყა, რომ **ფრენკ ლემპარდი** "ინტერში" გადადის. იტმრატებტული გამოცემის მტკიცებით, ფეხბურთელი 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს და წელიწადში 7.3 მილიონი ევროს მიიღებს. "ᲩᲔᲚᲡᲘ", კომუნისაციის სახით, 9 მილიონ ევროს მიიღებს. "სანის" მტკიცებით, შეთანხმება ჯერ არ არის ხელმონერილი. "არისტოკრატები" უკანასკნელ ღონეს ხმარობენ, რათა ფეხბურთელი ხელშეკრულების გაგრძელებაზე დაიყოლიონ. "ინტერმა" ლემპარდის შეძენა პრიორიტეტად გამოაცხადა. მან უკვე იყოდა "პორტუს" ნახევარმცველი **რიკარდო კკარუმმა.**

ᲠᲝᲜᲐ ᲤᲘᲝᲠᲔᲜᲢᲘᲜᲐᲡ ᲛᲣᲢᲣᲡ ᲔᲪᲘᲚᲔᲑᲐ

ᲟᲣᲚᲘᲝ ᲑᲐᲞᲢᲘᲨᲢᲐᲛ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲡ ᲛᲘᲐᲨᲣᲠᲝᲡ

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ საღამოს, იტალიურმა სააგენტოებმა გვაუწყეს, რომ **ადრიან მუტუმ** "ფიორენტინასთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. კკირას კი, "ილ ტემპოში" გამოქვეყნდა სტატია, რომლის თანახმად, საკითხი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი. "ილ ტემპოს" ვარაუდით, რუმინელი თავდამსმენელი, შეიძლება, "რომაში" აღმონნდეს, რადგან იქ უკეთეს ხელფასს გადაუხდიდან.

მუტუს აგენტი **ალესანდრო მოჯი** რომში გამემზავრა და "ჯალიოროსის" სატრანსფერო მენეჯერ **დანიელე პრადეს** შეხვდა. მხარეები იოლად შეთანხმდნენ. საბოლოო სიტყვა "ფიორენტინამ" უნდა თქვას. მუტუ ფლორენციელთა საკუთრებაა. ისინი ფეხბურთელს 25 მილიონ ევროდ აფასებენ.

ამ დავიდარაბის მიზეზი გასაგებია: რომაელებს თავდამსმენელი სჭირდებათ. მათ აიაქსელ **კლაას იან ჰუნტელაარსა** და რეალელ **ჟულიო ბაპტიშტასაც** დაადგეს თვალი. "ჯალიოროსი" მუტუს იმ შემთხვევაში შეიიქნ, თუ ამ ორი ფეხბურთელის ტრანსფერი ჩაეშლება.

"გაძეტა დელო სპორტი" ბაპტიშტას რომაულ ტრანსფერს ეხმაურება. ბრაზილიელი ფეხბურთელის აგენტი **ერნესტო ბრონეტენტი** ეუწყება, რომ გარიგების ალბათობა საკმაოდ მაღალია. **რუუდ ვან ნისტელროის** მაგრიდში გადასვლის შემდეგ, ბაპტიშტამ თადარიგში გადაინაცვლა. მან ერთი წელი "არსენალში" გაატარა. ლონდონელებმა ფეხბურთელი ვერ გამოისყიდეს, ამიტომ, ბაპტიშტას კვლავ მაგრიდში მოუწია დაბრუნება.

ესპანური სააგენტოების ცნობით, "რეალი" ამ ფეხბურთელის სიამოვნებით გაყიდის, რათა **კრისტიანო რონალდოს** ტრანსფერისთვის ფული შეაგროვოს. ჟულიო 15 მილიონი ევრო ღირს. რომაელები 12 მილიონის გადახდაზე არიან აბუნელ. ცნობილი გახდა, რომ ბაპტიშტას მაგრიდის "ატლეტიკოსაც" დაადგა თვალი. "ელ მუნდო დეპორტივოს" მტკიცებით, "რობიბალკო" მზადაა, "რეალს" 15 მილიონი მოუთვალოს. ფეხბურთელი "რეალში" დარჩენას შეეცდება, თუმცა ტრანსფერზე დაყენებოს შემთხვევაში, ნებისმიერ საინტერესო წინადადებაზე დაფიქრდება.

ადრიან მუტუ

ᲖᲔᲔᲓᲝᲠᲤᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲖᲔ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲐ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲘᲜᲘᲝᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲔᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲐ

კლარენს ზეედორფი

ᲙᲚᲐᲠᲔᲜᲡ ᲖᲔᲔᲓᲝᲠᲤᲘ თანახმაა, კარიერის უკანასკნელი წლები პრემიერლიგაში გაატარონ. ჰოლანდიელი ვეტერანი **რონალდინიოს** "მილანში" გადასვლას ენინააღმდეგება. თუ ბრაზილიელს იყიდიან, ის დაუყოვნებლივ ტრანსფერზე დაყენებას მოითხოვს. 32 წლის ზეედორფს, "მილანის" გარდა, "აიაქსში", "სამპდორიაში", "რეალსა" და "ინტერში" უთამაშია. ის თანამდეროგეობის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელია. მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ სამი კლუბის შემადგენლობაში, ზეედორფი ოთხჯერ დაუფლია ჩემპიონთა თასს. ბი-ბი-სისთან ინტერვიუში კლარენსმა განაცხადა, რომ სიამოვნებით ითამაშებდა ინგლისში, თუმც კონტრაქტი, ჯერჯერობით, არავის მუუთავაზებია: "სამპდორიაში" ყოფნისას, შემეძლო, "მანჩესტერ იუნაიტედში" ან "არსენალში" ნავსულიყავი, მაგრამ "რეალი" აკირჩევ. ვნახოთ, ინგლისში თამაში, შეიძლება, კიდევ შემომთავაზონ".

მოგეხსენებათ, **მარკო ვან ბასტენმა** ზეედორფი კარიერის ჩემპიონატზე არ ნაიყენა. ვეტერანს დრო უქმად არ დაუკარგავს და საქველმოქმედო მატჩისთვის შეუდგა სამზადისს. შეხვედრა 12 იელისს, მიუნხენის "ალიანს-არენაზე" გაიმართება. მთელი შემოსავალი აფრიკაში შიმშილთან ბრძოლის ფონდში ჩაირიცხება. ზეედორფის თხოვნას არა ერთი ვარსკვლავი გამოეხმაურა. ამხანაგურ მატჩში **ჯონ ტერი, ანდრეი შევჩენკო, მიკაელ ესიენი, დიდიე დროგბა, სტივ ჯერარდი, რაინერ ბაბელი, სერხიო რამოსი, ანდრეა პირლო, ჯუნარო გაგუუნო, ალესანდრო ნესტა** და სხვები ითამაშებენ. ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ შეხვედრას არც მაყურებელი მოაკლდება. ისინი რამდენიმე მილიონი ევროს შეგროვებას იმედოვნებენ.

ᲩᲔᲚᲡᲘ

ᲒᲠᲐᲜᲭᲘ ᲤᲣᲚᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ᲐᲕᲠᲐᲛᲛᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ ᲘᲡᲘ ᲒᲐᲐᲤᲝᲠᲛᲐ, ᲐᲠᲪ ᲬᲐᲣᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ...

ᲐᲕᲠᲐ ᲒᲠᲐᲜᲭᲘ "ᲩᲔᲚᲡᲘᲡ" უჩივის. ებრაელი მწვრთნელი ლონდონური კლუბისგან ითხოვს კომპენსაციას, რომელიც მას კონტრაქტის განყვეტის სანაცვლოდ ერგება. გრანტი ერთი თვის წინათ დაითხოვეს. გასული წლის დეკემბერში მწვრთნელმა სამწლიან ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი. მას წლიურად 1.5 მილიონი გირვანქა დაუნიშნეს. კლუბმა კონტრაქტის მოქმედება 6 თვის შემდეგ შეაჩერა. მწვრთნელი იმ ფულს ითხოვს, რომელიც მისთვის მომდევნო ორწლეულნაბეჭვარში უნდა გადაეხადათ.

გრანტმა გუნდში არასრული სეზონი იმუშავა. ის სეკტემბერში, **ჯოზე მურინიოს** ადგილზე დანიშნეს. პრემიერლიგაში მან ბუნდი მეორე ადგილზე, ჩემპიონთა ლიგაში კი ფინალში ითამაშა. 2004 წლის შემდეგ, პირველად, "არისტოკრატებმა" ერთი ტიტულიც ვერ მოიგეს. გრანტის დათხოვნის მიზეზნიც ეს გახდა. "ობსერვერის" ცნობით, კონტრაქტის განყვეტის შემდეგ, მწვრთნელს 1 მილიონი გირვანქა შესთავაზეს. "ᲩᲔᲚᲡᲘᲡ" წარმომადგენელმა განმარტა - კომპენსაციის საკითხი კონტრაქტით იყო განსაზღვრული, კლუბი ნაკისრ ვალდებულებას პირნათლად შეასრულებსო. გრანტის ბანაკი ამბობს - კონტრაქტის გაფორმებისას, ავრაამი დეტალებს არ ჩაძიებია, მწვრთნელმა მიიჩნია, რომ რადგან **რომან აბრამოვიჩთან** განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებდა, მას ბოლომდე სამართლიანად მოექცეოდნენო.

დათხოვნის შემდეგ შეთავაზებულმა თანხამ გრანტი შეაფიქრინანა. მან მხოლოდ ამის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ხელშეკრულების თანახმად, კომპენსაცია ნამდვილად 1 მილიონ გირვანქას შეადგენდა. გრანტი თავს მოტყუებულად მიიჩნევს. მას იმედი აქვს, რომ უთანხმობას სასამართლოს გარეშე მოაგვარებს, მაგრამ გრანტის აფეოკატები შიშობენ, რომ მწვრთნელს სხვა არჩევანი არ აქვს.

ᲕᲘᲪᲘᲠᲐ ᲠᲩᲔᲑᲐ

ᲞᲐᲢᲠᲘᲐ ᲕᲘᲪᲘᲠᲐ "ინტერიდან" წასვლას არ აპირებს. ფეხბურთელის აგენტი **ჯეიმი ჯარვისი** ამბობს, რომ სპეკულაციების მიუხედავად, მისი კლიენტი მილანში დარჩება. მაგრამ რეალურად, სალმე ცოტა სხვაგვარადაა. "ინტერის" ახალი მწვრთნელი **ჟოზე მურინიო** შემადგენლობას აძლიერებს. საკადრო გადადგილებებს არა ერთი ფეხბურთელი შეეწირება და იტალიური საადგენტოების ცნობით, ამ სიაში ვიეირაც იქნება.

ის გუნდში 2006 წლის ზაფხულში, "იუვენტუსიდან" გადავიდა, თუმც ქრონიკული ტრავმების გამო, ოპტიმალურ ფორმას ვერა და ვერ მიაღნია. მოურინიოს კი მხოლოდ საუკეთესო ფეხბურთელები სჭირდება. მწვრთნელი განსაკუთრებულ მონდომებით ნახევარდაცვას აძლიერებს. ამის დასტურია **ფრენკ ლემპარდის** მეძენა. ამ უმეგებზე, ინგლიოს ნაკრების ვარსკვლავი მილანში ჩავიდა. მან სამედიცინო შემოწმება გაიარა და კონტრაქტის პერსონალური დეტალები განხილა. იტალიელი მიმოსმილველები ვარაუდობენ, რომ ვიეირა ინგლისში დაბრუნდება. "იუვენტუსში" ტრანსფერამდე, პატრიკმა 9 წელინადი (1996-2005) "არსენალში" გაატარა. მისი კარიერის საუკეთესო წლები სწორედ ლონდონურ კლუბს უკავშირდება.

ᲘᲜᲜᲘ ᲑᲔᲜᲭᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐ ᲡᲘᲗᲮᲝᲕᲡ

"ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲡᲜᲘᲣ" თავკაცი **პოლ ინნი დევიდ ბენტლის** შეხვდა. მწვრთნელი შეეცადა, ნახევარმცველი ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე დაეთანხმებინა. "იენინგ ტელეგრაფის" ცნობით, ბენტლიმ ინსს განუცხადა, რომ გუნდიდან ნასვლას აპირებს. ფეხბურთელს მიაჩნია, რომ მხოლოდ ამ გზით შეუძლია ინგლისის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა. ინსმა ბენტლის "ბლეკბერნში" კიდევ 12 თვით დარჩენა შესთავაზა. სანაცვლოდ კი, პირობა მისცა, რომ გასაღ ინგლისის დიდი ოთხეულის რიგლმე ელუბში გაყიდის. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებები გაგრძელდება. სპეკულაციების თანახმად, ბენტლის "ლიეერპული" ეპატიეტა, თუმცალა "ბლეკბერნმა" მერსისაიდელები უარი ვინაც ამბეს.

ᲚᲘᲜᲔᲒᲔᲠᲒᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ

ᲤᲠᲐᲜᲪ ᲚᲘᲜᲔᲒᲔᲠᲒᲘ შვედეთის ნაკრებს გამოეთხოვა. 31 წლის ნახევარმცველმა გადაწყიტა, მთელი ყურადღება "ვესტ ჰემზე" გადიტანოს. ევროპის ჩემპიონატისას ლიუნგბერგი ეროვნული გუნდის კაპიტანად აირჩიეს. შვედებმა ჯგუფში ორი თამაში წააგეს და ალეიოფს მიღმა დარჩნენ. მათი გუნდი ტურნირზე ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული იყო. ლიუნგბერგმა ნაკრებში 75 მატჩი ჩაატარა და 14 გოლი შეაგდო. ის "ვესტ ჰემში" გასულ ზაფხულს გადავიდა. იქამდე, 9 წელინადი "არსენალში" ბურთაობდა. ლიუნგბერგს ვესტჰემურ კარიერა ვერ აეწყო. ქრონიკული ტრავმების გამო, მან სეზონის უმეტესი ნანილი გამოტოვა. ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ფრედის ბოლო ოფიციალური მატჩი აპრილში ქქონდა ჩატარებული. მას კონტრატში კიდევ ორი წელი დარჩა.

ᲑᲝᲚᲒᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

"ᲑᲘᲚᲑᲝᲠᲓᲘᲡ" ახალი სატრანსფერო რეკორდი დაამყარა. კლუბმა "ᲑᲣᲢᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ" და შეედეთის ნაკრების თავდამსმენელი **იოჰან ელმანდერი** 12 მილიონ ევროანენად შეიძინა. აქამდე, ბოლტონელთა უძეირფასესი ფეხბურთელი **ნიკოლა ანელკა** იყო. ის "ფენერბაჰჩედან" ორი წლის წინათ, 8.5 მილიონ ევროანენად გადაიყვანეს, იანერის ტრანსფერებისას კი "ᲩᲔᲚᲡᲘᲡ" დაუთმეს. "ᲑᲝᲚᲒᲝᲜᲘᲡ" თავკაცი **გარი მეგსონი** კმაყოფილებას ვერ მალავს. ელმანდერი მისი უმთავრესი სამინნე იყო. იოჰანმა "ᲢᲣᲚᲣᲠᲘᲡ" შემადგენლობაში 62 თამაშში 22 გოლი შეაგდო, შვედეთის ნაკრებში კი - 9 ბურთი 34 მატჩში. მან სამედიცინო შემოწმება პარასკევ საღამოს გაიარა და მეორე დღეს კონტრაქტზე მოაწერა ხელი.

კონტრატენი დეტალები უცნობია. ელმანდერი ბეგსონის მეორე საზაფხულო ძენაძენია. პირველი - ნახევარმცველი **ფაბრის ᲗᲣᲛᲐᲒᲘᲐ** იყო, რომელიც "ᲑᲘᲠᲜᲘᲜᲓᲐᲛᲘᲡ" 5 მილიონ გირვანქად იყიდეს. ბოლო 6 თვის განმავლობაში მეგსონმა 30 მილიონ გირვანქაზე მეტი დახარჯა. კლუბი ახალ სეზონში აუტსაიდერობას აღარ აპირებს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲣᲨᲐᲮᲐᲯᲐ
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ინტერვიუ ლილიან ტურამთან

ფეხბურთის გამო, სიცოცხლეს საფრთხეში ვერ ჩავიგდებ

ზედმეტად ხომ არ ფრთხილობენ ფრანგი ექიმები?

დღეს, ლილიან ტურამს "ბარსელონასთან" ხელშეკრულების ვადა ეწურება. ცნობილია, რომ კატალონიური გრანდი მასთან კონტრაქტის გაგრძელებას არ პირობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვეტერანი ფრანგი მცველი თავისუფალი აგენტი გახდება. ამ სტატუსით, ტურამი "პარი სენ ჟერმენში" უნდა გადასულიყო, მაგრამ, როცა სამედიცინო შემოწმებაზე მიდგა საქმე, მცველს გული პიპერტონიის დიაგნოზი დაუსვეს. იელისის ბოლოს, ფეხბურთელს ხელმეორე გამოკვლევას ჩაუტარებენ და თუ ანალიზიურ დიაგნოზს დასვამენ, "პარი სენ ჟერმენი" კონტრაქტის გაფორმებაზე უარს იტყვის. მოულოდნელმა დიაგნოზმა ლილიანი ფრად დაამნუხრა. "დიარო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში მან კარიერის შესაძლო დასრულებაზე ჩამოაგდო სიტყვა. ამავე ინტერვიუში, გამოცდილმა მცველმა სხვა საინტერესო თემებზეც ისაუბრა...

- რას გვეტყვით იმ სამედიცინო გამოკვლევის შესახებ, რომელიც "პარი სენ ჟერმენის" ექიმებმა ჩაგიტარეს?

- შედეგი აბსოლუტურად მოულოდნელი იყო. ამდენი წელია ვთამაშობ, მაგრამ გულის პიპერტონიის არასოდეს შევუნიშნებივარ. ჩვეულებრივად ვვარჯიშობდი და ჯანმრთელობას არ ვუჩიოდი, მაგრამ არანაირი საფუძველი არ გამაჩნია, ექიმების დასკვნას არ დაეკვანთხმო. ისინი პროფესიონალები არიან და განმეორებით გამოკვლევამდე საბოლოო დიაგნოზის დასმას თავს არიდებენ. ისიც დამრჩენია, მეც დავეკოდოო...

- დავუშვათ, პასუხი იგივე დარჩა. რას იზამთ?

- რა თქმა უნდა, კარიერას დავასრულებ. ფეხბურთით უსაზღვროდ მიყვარს. ეს თამაში ჩემი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, მაგრამ დამეთანხმებით, ცხოვრება გაიცლებით უფრო ღირებული და მრავალფეროვანია. ჩემი უსაყვარლესი პროფესიის გამო, სიცოცხლეს საფრთხეში ვერ ჩავიგდებ. ამ ასაკში ჯანმრთელობას თუ არა გაუფრთხილი, წლების შემდეგ მნარედ ინანებ. ასე რომ, ყველაფერი საბოლოო დიაგნოზზეა დამოკიდებული.

- გულის პიპერტონია სერიოზული დაავადებაა. ნუთუ ამ ექვსი წლის განმავლობაში რაიმე სიმპტომი მაინც არ გიგრძნია?

- როგორ გითხრათ... პრინციპული და ძალიან დაძაბული თამაშების შემდეგ, გულიც ამჩქარებია, თავიც ამტკივებია, მაგრამ იმდენად ცუდად არ გავმხდარვარ, რომ დამბარებისთვის ექიმთან მივსულიყავი. ექიმებთან ურთიერთობა ძირითადად ტრავმატოლოგიური კუთხით მიწევდა. არც კი ვიცოდი, პიპერტონია რა დაავადება იყო. როგორც ჩანს, მდგომარეობა ნელ-ნელა მძიმდებოდა. კიდევ კარგი, ახლა მაინც ყველაფერი ვიცი. გამორიცხულია, სიცოცხლეს რისკის ქვეშ არ ჩავიგდებ. სისუფთელე იქნება, ახორციელი გამი ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ნათესავებსაც და ახლობლებს მოუშუმებელი ტკივილი მივაყენო.

- როგორ ფიქრობთ, "პარი სენ ჟერმენში" გადასვლის შანსი დაკარგეთ?

- ვფიქრობ, ეს ძალიან ძნელი იქნება. პარიზელები ყველაფრისთვის მზად იყვნენ, მაგრამ თავი შეიკავეს. მე ვერავის ვაიძულებ, რომ გარემოებები ფეხებზე დაიკიდონ და წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგან. კლუბი ვალდებული არ არის, ჯანმრთელობაშერყეულ მოთამაშეს საკმაოდ სოლიდური ხელფასი გადაუხადოს. ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს განმეორებითი გამოკვლევა...

- თქვენთან საუბრისას ნვანკკო კანუს ისტორია გამახსენდა. ნიგერიელს, ფაქტობრივად, ყველა იმედი გადაუწურეს, მაგრამ ის ბედს არ დანებდა, ოპერაცია გაიკეთა და თამაში გაგრძელა. იქნებ, თქვენც იმკურნალოთ და კიდევ რამდენმე წელი ითამაშოთ?

- კანუ ახალგაზრდა იყო და ჩემზე გაცილებით მეტი მოგიაცია ჰქონდა. სწორად გამიგეთ, მე ვეტერანი ვარ. საუკეთესო წლები უკან დარჩა. მკურნალობით, რასაკვირველია, საფუძვლიანად ვიმკურნალებ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ფეხბურთის გამო სიცოცხლეს საფრთხეში ვერ ჩავიგდებ.

- ევროპის ჩემპიონატზეც უნდა გკითხოთ. საფრანგეთი "სიკვდილის ჯგუფის" ყველაზე სუსტი გუნდი აღმოჩნდა. ელოდით ასეთ წარუმატებელ გამოსვლას?

- რა თქმა უნდა, არ ველოდი. ჩვენ დიდი ამბიციები გვქონდა და დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ურთულესი ჯგუფიდან გასვლას მოკახერხებდით. სამწუხაროდ, ტურნირის მსვლელობისას დაეინახეთ, რომ მთელ რიგ კომპონენტებში ჩვენი კოლეგურნტები უფრო კარგად იყვნენ მომზადებულნი. ყოველი დაკარგული შესაძლებლობის შემდეგ, საშინლად ვგრძნობ ხოლმე თავს... გულმამაკვირვებისთვის თვალებში შეხედვის მრცხვენია... საფრანგეთი ბოლო თუნდაღილის ფინალისტი იყო და ფლიდედ ვამტკიცებთ, რომ ჩემმაინის ტატული უსამართლოდ დავკარგეთ. ახლა სალაპარაკოც არაფერი გვაქვს, მხოლოდ ერთი ქუთა ავიღეთ. ეს კატასტროფაა და სხვა არაფერი. არანაირი გამართლება არ არსებობს. თავი უნდა დავხარო და ბოდიში მოვიხადოთ, თუმც იმის გარანტიაც არ არსებობს, რომ ფიასკოს გვაპატიებენ.

- კატასტროფული შედეგის მიზეზად რას მიიჩნევთ?

- ევროპის ჩემპიონატს მოუმზადებლები შევხვდით. ჰოლანდიასთან სამარცხვინოდ წაგაგეთ... მართალია, ცალკეული ეპიზოდებში მაღალ დონეზე ვითამაშეთ, მაგრამ მთლიანობაში ვან ბასტენის ბიჭებმა ორი თავეთ გვაჯობეს. მანამდე არსებულ პრობლემებს, იტალიასთან უიღლობაც დაერთო. რიბერიმ ტრაგმა მიიღო და თამაში ვერ გაგრძელა, რამდენიმე წუთში ანიდალიე გაგვიგდეს და 10 კაციათ დავრჩით... თან, იტალიამ პენალტი გაგვიტანა. ამას უიღლობა ჰქვია ნნორად და სხვა არაფერი. მაგრამ, თავს არ ვიმარჯლებ. ყველაფერი ჩვენი ბრალია.

- ეჭვი ოდის გაგიჩნდათ, რომ ყველაფერი ისე არ იქნებოდა, როგორც გეგმავდით?

- რა თქმა უნდა, პირველივე მატჩში, რუმინეთთან. იმ შეხვედრაში, ფაქტობრივად, არაფერი გამოგვივიდა. პრობლემების გამოსასწორებლად კი დრო საერთოდ არ გვქონდა. ეს რომ ხანგრძლივი საკვალიფიკაციო ტურნირი ყოფილიყო, ჩვენ სიტყვას აუცილებლად ვიტყოდით, მაგრამ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ყოველთვის ციტნრიის პირობებში გიწევს მუშაობა.

- ბევრი ჟურნალისტი ამბობს, რომ საფრანგეთს ზიდანის გარეშე თამაში არ გამოსდის. მახსოვს, დაახლოებით 4 წლის წინათ, ზიზუმ სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა და ნავიდა კიდევ, მაგრამ ისეთი პრობლემები შეგექმნოს, სიტყვა უკან წაიღო და გუნდში დაბრუნდა. ხომ არ შიშობთ, რომ საფრანგეთს ხანგრძლივი კრიზისი ელის?

- ცხადია, ზიდანი განუმეორებელია, მაგრამ ის ადრე თუ გვიან მაინც დასასრულებდა კარიერას. საფრანგეთი კი იმდენად დიდი საფეხბურთო ქვეყანაა, რომ მისი ეკეთილდღეობა მხოლოდ ერთ კაცზე, თუნდაც ზიდანზე იყოს დამოკიდებული. ჩვენ შესანიშნავი თაობა გვყავს. ეს ბიჭები გამოცდილებას გაღარმავებენ და საფრანგეთს მსოფლიო ფეხბურთის ავანგარდში დაიბრუნებენ. დარწმუნებული ვარ, ამისთვის დიდი დრო არ იქნება საჭირო. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე სულ სხვა გუნდი გვეყოლება.

- მოდი, ახლა "ბარსელონასაც" შევეხოთ. კატალონურმა გრანდმა ზედიზედ ორი სეზონი ჩააგდო. პორტნენტტლმა ნარუმატებლობებმა ხალხს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაც დაავიწყა. შეგიძლიათ აგვიხსნათ, რა გახდა ამ ორი ფატალური სეზონის მიზეზი?

- კარგია, რომ ჩემპიოონთა ლიგაში გამარჯვება ახსენეთ. იმ ტრიუმფით "ბარსელონაში" ერთი დიდი ეტაპი დასრულდა. ჩემს მისვლამდე, გუნდმა ესპანეთის ჩემპიონობაში ზედიზედ გაიმარჯვა, ხოლო შემდეგ ლიგაც მოიგო. "ბარსა" უმაღლეს მნეიერველზე ავიდა და მიღწეულის შენარჩუნება ვერ შეძლო. თქვენ იცით, ეს ყველაზე რთული ამოცანაა. გული მწყდება, რომ ბოლო ორ სეზონში ვერაფერი შეეძელითო... მაგრამ ფეხბურთი ასეთია, ხან მოიგებ, ხან წააგებ... დარწმუნებული ვარ, "ბარსელონა" მაღე აღორძინდება და ტიტულები ისევ მოგა.

- რაიკაარდის გადაყენება სწორი გადაწყვეტილება იყო?

- ამ თემაზე მე ვერ ვისაუბრებ. მწერნილებს ზემოდან ნიმნავენ და ხსნიან... ისე კი, ყველაფერს დრო გამოაჩენს. გვარდიოლას ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ.

- თქვენი აზრით, რონალდინიომ ბრწყინვალება რატომ დაკარგა?

- მე სულაც არ ვფიქრობ, რომ დაკარგა, უბრალოდ, სერიოზული პრობლემები შეექმნა. მისგან მეტისმეტად ბევრს ითხოვდნენ. რონალდინიო გენიოსია, თუმცა, მოდით, ვაღიაროთ, რომ "ბარსელონასა" შორს იყო საუცხოო ფორმისგან. როცა მთლიანობა და სტრუქტურა დარღვეულია, ერთი კაცი გუნდს მხრებით ვერ გაათრევს. არადა, "ინჩსაები" რონალდინიოსგან სწორედ ამას ითხოვდნენ, ალბათ, ხელმძღვანელობაც. ღრმად მწამს, გაუეჩო რომ არ ყოფილიყო, "ბარსელონა" 2006 წელს ჩემპიონთა ლიგას ვერ მოიგებდა. ასე რომ, ამ კაცს ბეგი დადასებება სჭირდება.

- თქვენი ავადმყოფობის ამბავი უმალ გახმაურდა და "პარი სენ ჟერმენის" ექიმების დასკვნას "ბარსელონის" სამედიცინო შტაბი გამოეხმაურა. მთავარი ექიმის მტკიცებით, თქვენ კლასიკური პიპერტონიკი არ ხართ. იგივეს ამბობს "იუვენტუსის" მთავარი ექიმიც. ტურინელი კლუბის კარდიოლოგი აცხადებს, ტურამი გულის წნევამ რამდენჯერმე შეაწუხა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფეხბურთელი ამ დაავადების ქრონიკული ფორმითაა დაავადებულიო...

- აბა, რა გითხრათ... მეც ამას არ ვამბობდი, წნევას და გულს სერიოზულად არასოდეს შევუწუხებივარ-მეთქი? თუმცა ყველაზე მეტად ერთი რალაც მაშინნა: დედა და ძმა სწორედ გულთან დაკავშირებული პრობლემების გამო დამეკარგა. მაშინია, ეს გენეტიკური დაავადება არ იყოს. ჩემი ძმა კალათბურთელი გახლდათ და 1994 წელს, თამაშის მსვლელობისას, მოედანზე დაეცა სული.

- მაპატიეთ, რომ ასეთ მტკივნეულ თემას შევეხე... დარწმუნებული ვარ, თქვენ შემოხვევაში ყველაფერი კარგად იქნება. შესაძლოა, ფრანგი ექიმები მეტისმეტად ფრთხილები არიან და უმნიშვნელო პრობლემას ზედმეტად აბუქებენ. ყოველ შემთხვევაში, აბსოლუტურად წარმატებული გასალავარო, რომ დღევანდელი ნერვიულობა ძალიან მალე სასაცილოდ მოგეჩვენებათ.

- დიდი მაღლობა გაბნნევებისთვის. ღმერთის იმედი ვიქონიოთ. ძალიან მინდა, ფეხბურთის თამაში გავაგრძელო.

მოკამზადა
ილია ნიკოლაიშვილმა

საფრანგეთი

დომენეკი არ მიდის

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ **რაიმონ დომენეკთან** თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვა. პრეზიდენტმა **ჟან-პიერ ესკალეტმა** დაადასტურა, რომ მწვრთნელი, რომელის ხელშეკრულება "ლურჯებმა" ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპი ვერ დაძლიეს, 2010 წლის 30 იელისამდე პოსტზე რჩება და ახალი გუნდის მშენებლობას ინყებს. არა და, ცოტას თუ ეკარნიდა ეჭვი, რომ დომენეკი ნაკრების ცხელ სკამს **დიდიე დეშამს, ლორან ბლანს, ჟან ფიგანას** ან რომელიმე სხვა სპეციალისტს დაუთმობდა.

56 წლის დომენეკმა ევროპის ჩემპიონატზე არ ნაიყვანა **დავიდ ტრეზეგე, მატიო ფლამინი, ბაკარი სანია, გაელ კლიში** და **ფილიპ მექსე**. მან აქცევნები გადადერებულ მოთამაშეებზე გააკეთა, ნიჭიერ ახალგაზრდებს კი ნაკლებად ენდო. ხშირ შემთხვევაში, ეჭვს იწვევდა მის მიერ აჩრეული ტაქტიკაც. თავად ფეხბურთელებიც კი აღიარებენ, რომ საფრანგეთის ნაკრები ევროს მოუმზადებელი შეხედა. ბუნებრივია, ასეთ დროს პასუხი მწვრთნელს უნდა მოეთხოვოს, თუმც ფრანგული ფეხბურთის ბოსებმა სხვადასხვარად განსაჯეს და ფსონი კვლავ დომენეკზე დადეს, ვნახოთ...

საფრანგეთი დომენეკს ეურ ელევა

ტრანსფერი

სარეკორდო გარიგება

ჟო 19 მილიონად სიტიში...

"მანჩესტერ სიტი" მოსკოვის ცსკა-ს თავდასხმელ **ჟოს** ყიდულობს. "სანის" ცნობით, ინგლისელები კლუბისთვის სარეკორდო თანხას, 19 მილიონ გირვანქას იხდიან. ფეხბურთელმა ბრიტანეთის საემიგრაციო სამსახურში საბუთები წარადგინა და სამუშაო ვიზა მიიღო. გარიგების შემთხვევაში, ის **მარკ პიუზის** პირველი შენაძენი იქნება. შეგახსენებთ, პიუზი "სიტიში" ინვისის დასაწყისში დაინიშნა.

ჟოს სრული სახელია **ჟოაო ალეჯე დე ასის სილვა**. მან რუსულ კლუბში 77 მატჩი ჩაატარა და 44 გოლი შეიგდო. ჟო სან პაულუში გაიზარდა. "კორინთიანსის" ძირითად შემადგენლობაში მისი დებიუტი 2003 წელს შედგა. მოსკოვში გამგზავრებამდე, 81 მატჩში მან მხოლოდ 13 გოლი გაგანა მოიგერხა. "სიტი" უეფას თასზე პირველ მაგრს 17 იგლისს ჩაატარებს. პიუზს იმედი აქვს, რომ იმ დროისთვის ყო უკვე განაცხადაც ეყოლება. ცსკა-ბოლო ნუთამდე ცდილობდა ფეხბურთელის შენარჩუნებას, მაგრამ როდესაც "სიტიმ" კონტრაქტით განსაზღვრული თანხა შესთავაზა, იძულებული გახდა, დათანხმებულიყო.

ინგლისის პრემიერლიგამ "მანჩესტერ სიტი" გააფორხილა, კონტრაქტის გაფორმებამდე დარწმუნდეს, რომ ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებები რომელლაც ტესამე მხარეს არ ეკუთვნის. წინაალმდეგ შემთხვევაში, პრემიერლიგაში ფეხბურთელის ტრანსფერს რეგისტრაციაში არ გაატარებს.

EURO 2008

ევროპული ბიბლიოთეკა

ფინალი. ვენა. 29 ივნისი. ერნსტ ჰაპელ შტადიონი

გერმანია 0:1 ესპანეთი

ბებერი ლუისის რქებიც ხნავენ

დაბრძანებული ესპანეთი ღირსეული ჩემპიონია!

გერმანია		ესპანეთი
ლეხნერი		კასილიასი
ფრიდრიხი		რამოსი
მერტეზაკერი		პუიოლი
ბეტცელდერი		მარიენა
ლაამ (46. ინსანინი)		კაპდევილია
შვაინშტაიგერი		სენა
ფრინნსი		ინიესტა
ბალაკი		ჩავი
ბეტცელშპერგერი (58. კურანი)		(63. ჩაგი ალონსო) ფაბრეგასი
პოდოლსკი		(66. კასილრასა) სილვა
კლოზე (79. ბოზეკი)		(78. ბუსკა) ტორესი
52%		48%

გოლი: 0:1 ტორესი (33)

გაფრთხილება: ბალაკი (43), კასილიასი (43), ტორესი (75), კურანი (88)

მაყურებელი: 51 428

სტატისტიკა

2	გაფრთხილება	2
3 (1)	დარტყმა	15 (7)
21	ჯარიმა	19
4	კუთხური	7
52%	ბურთზე ფლობა	48%

მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

არბიტრი: რუბერტო როზეტი (იტალია)

დრო, როცა ესპანეთის ნაკრებზე ამბობდნენ, უნიერო გუნდია და მოუხედავად იმისა, რომ შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავს, ვერაფერს იგებსო, ნარსულს ჩაბარდა. ქომაგები თუ ექსპერტები, რომლებიც ერთი თვის წინ **ლუის არაგონესს** ლანძღავდნენ, ბებერია და გამოთაყვანებული, თორემ **რაულს** და **გუტის** ავსტრია/შვეიცარიაში აუცილებლად ნაიყვანდაო, დღეს ან ჩუმად უნდა იყვნენ, ანაც უნდა აღიარონ, რომ სასტიკად ცდებოდნენ და მწვრთნელს მოუბოდიშონ. როცა იქნებოდა, ეს აუცილებლად უნდა მომხდარიყო და აი, მოხდა კიდეც: 2008 წლის 29 ივნისს, არსებობის ისტორიაში მეორედ და 1964 წლის შემდეგ პირველად, ესპანეთი ევროპის ჩემპიონი გახდა!

იბერიელთა გამარჯვება აბსოლუტურად დამსახურებულია. მეტიც, ბოლო წუთებზე გერმანელებს სასნაული მაინც რომ მოეხდინათ და თამაში შემოეტრიალებინათ, ძალიან ალოგიკურ შედეგს მივიღებდით. ეს იმიტომ, რომ ესპანეთმა გერმანია დაჩაგრა და თანაც ბირწმინდად. ძალიან რთულია იმის გახსენება, თუ როდის ითამაშა ფინალში გუნდმა ბოლოს ასე ცუდად, ასე ქაოტურად და როდის იყო ფინალისტი ასეთი არეული. არადა, **იოახიმ ლიოვის** შეგირდებმა ძალიან კარგად დაიწყეს - პირველ წუთებში ერთობ სოლიდურად მოქმედებდნენ და უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ როგორც კი ესპანელებმა ტემპს მოუმატეს, ბუნდესგუნდმა პოზიციები მაშინვე დათმო და მას მერე ლიოვის გუნდი ბოლო წუთამდე განნირული ჩანდა.

ფინალისტებმა ევროპის ჩემპიონატზე სულ 6-ნ შეხვედრა ჩაატარეს. ესპანეთმა ფინალში საუკეთესო თამაში აჩვენა, გერმანიამ კი პირიქით, ყველაზე უარესი. თუკი ესპანელები ყველაზე ცუდად მეოთხედფინალში (იტალიასთან) გამოიყურებოდნენ, გერმანელები პირიქით, საუკეთესოები სწორედ მეოთხედფინალში (პორტუგალიასთან) იყვნენ. და მაინც: გუშინ ესპანეთს ისე ნამდვილად არ უფრენია, როგორც ჰოლანდიამ იფრინა იტალიასთან და საფრანგეთთან. გერმანიის თამაშს კი აღარც კი ვიცით, რა დავარქვათ - ფინალში რომ გუნდი ასეთ ამდა-უბდა ფეხბურთს ითამაშებს, ვფიქრობთ, იქ სხვა კომენტარი უკვე ზედმეტია.

ლიოვმა და არაგონესმა ნახევარფინალის შემდეგ, ძირითადი შემადგენლობა ერთ პოზიციაზე შეცვალეს. ბუნდესგუნდში **სიმონ როლფსის** ნაცვლად **ტორსტენ ფრინგსი** ვიხილეთ, ესპანეთში კი, ტრავმირებული **დავიდ ვილია სუსკ ფაბრეგასმა** შეცვალა. როგორც მოსალოდნელიც იყო, არაგონესმა არ გარისკა და რაკი ვიცოდა, რა ფასი ექნა ფინალში ფიზიკურ ფორმას, ბოლოს ამ ორ ფეხბურთელ ერთ-ერთ ადგილზე ალონსოს ანგარიშზე ბეტონი ჩააბეტონა.

ესპანეთმა ფინალში ოთხ ოფსაიდზე ითამაშა, ოთხ ოფსაიდზე ითამაშა ბოლოს ევროპის ჩემპიონატზე 1984 წელს, ანუ ბოლო 24 წელია ესპანეთი ასეთ ოფსაიდურ ფეხბურთს ეთამაშებოდა. ეს ფაქტი ალბათ ბევრ ადამიანს ეტყვის, ეს ოფსაიდი ბოლოს ბურგოსელ ბეტონ ბეტონ ბეტონ

EURO 2008

წამიც და ტორესის დარტყმული ბადეში გაუხვევა

ნაცვლად იოგიმ თამაშში **მარსელ იანსენი** ჩართო, რომელსაც, საერთოდ, არაფერი გამოუვიდა. 58-ე წუთზე ლიოი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ ტაქტიკის შეცვლა იყო საჭირო და საყრდენი **პიტცლშპერგერის** ნაცვლად მოედანზე **კევინ კურანი** შეუშვა, მაგრამ "ალალ ეს" ფორვარდს ბურთი თითქმის არ ჰქონია. დაახლოებით მე-60 წუთისთვის გერმანელებს ჰქონდათ ფაზა, როცა ოფნავი გამოსწორება დაეტყოთ და ზედიზედ რამდენიმე ხეირიანი შეტევაც განახორციელეს (მაგალითად ბალაკის დარტყმა). მაგრამ მერე ცვლილებებს არაგონესმაც მიმართა (თუმცა ტაქტიკა არ შეუცვლია). ესპანელთა თავკაცმა დაღლილი ნახევარმცველები (ფაბრეგასი და სილვა) ახალი შუამარბებით (**გასორლა, ჩაბი ალონსო**) შეცვალა. დასკვნით ფაზაშიც, თუ რომელიმე გუნდზე ითქმის, სახიფათოდ უტეხდაო, მხოლოდ ესპანეთზე, რადგან გერმანელები თავის თავს არ ჰგავდნენ. რომ არა ლემანი, რომელმაც რამოსს და ინიესტას დარტყმები მოიგერია, ანგარიში ბუნდესგუნდისთვის სულაც სამარცხვინო გახდებოდა. ბოლოს ლიომა კლოზე **გომესით** შეცვალა და ეს ბოლო იმედის გაბრძოლება იყო, მაგრამ, ცხადია, უშედეგო, რადგან ეს ნამდვილად არ იყო გერმანიის დღე.

რატომ გახდა ბუნდესგუნდის თამაში ასეთი საშინელი მაინცდამაინც ფინალში, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ახლა მეუძლებელია და სად დასკვნებს ახლო მომავალში უფრო გავაკეთებთ. აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ ესპანეთმა გერმანიას აჯობა ლ ჩვენ არ გამოვდევნებით კითხვას "რატომ აჯობა?" იგულისხმება და მოულოდნელი იყო ის უაზრო ქმედებები, უმისამართო პასები და გაუაზრებელი მოძრაობები, რასაც გერმანელები მაგჩის მიწურულს აკეთებდნენ: ვასაგებია, აგებდნენ და ნებისმიერი ხერხით ცდილობდნენ მეტოქის ნახევარზე გადასვლას, ბოლო წუთებზე უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, თუ ვინ იყო თავდამსხმელი და ვინ მცველი (ცხადია, ამიტომ აღმოჩნდა შვაინშტაიგერი ერთ მომენტში "ბოლო კაცის" პოზიციაზე), მაგრამ ელემენტარული, მოკლე პასები ხომ მაინც უნდა გამოსვლოდათ?

არა, ეს ესპანეთის დღე და თვე იყო!

გოტფრიდ ლენცი

კასილიასი და მარჩენა. ეს წუთია, გაისმა საფინალო სასტვენი...

ბომბარდირები

დავიდ ვილია	4	ესპანეთი
პაასი იაკინი	3	შვეიცარია
სემიკ შონეფერძი	3	თურქეთი
რეგინ ალენუფინაო	3	რუსეთი
ლუკას პოდოლსკი	3	გერმანია
ფერნანდო ტორესი	2	ესპანეთი
დანიელ გუისა	2	ესპანეთი
ივან კლესანიი	2	ხორვატია
ზლატან იბრაჰიმოვიჩი	2	შვედეთი
რეგინ ფან პერსი	2	ჰოლანდია
ბასტიენ შვაინშტაიგერი	2	გერმანია
რუუდ ფან ნისტელროი	2	ჰოლანდია
ნიაზი კავეჯი	2	თურქეთი
ანდრეი არშავინი	2	რუსეთი
ვესელი სნეიდერი	2	ჰოლანდია
არდა თურანი	2	თურქეთი
მიროსლავ კლოზე	2	გერმანია
მიხაილ ბალაკი	2	გერმანია
ვაცლავ ს

ვენაში ფეხბურთის თამაში აკრძალულია!

რა ვურჩიე მიშელ პლატინის...

საინფორმაციო რუბრიკიდან

ლელოსთვის, ვენიდან

მამუკა კვარაცხელია

ნუ გაგეცინებათ სტატიის სათაურზე. მართლაც ასეა: მეტი დამაჯერებლობისთვის სურათსაც თან ვურთავ. ჩემს საცხოვრებელ სახლთან ახლოს, "მარგარეტგ გურტელის" მეგზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაშენებულ პარკში, 70-ან წლებში ავსტრიის აღმაშენებლისა და მამინდელი პრემიერ-მინისტრის, **ბრუნო კრეისკის** სახელობის მწვანე პარკში ფეხბურთის თამაში ოფიციალურად აკრძალულია! აგერ, აკრძალვის ნიშანია, ჩემს თავზე... დიდსანს ვეძებე პოლიციელი, რათა მეკითხა, რამდენი ევროთი შეთხელდებოდა ჩემი ჯიბე, ბურთისთვის რომ ფეხი გამეკრა, მაგრამ ვერაფერით წავაწყეი - ყველა "ერსტგ პაპელის" სტადიონსა და მიმდებარე ტერიტორიაზე არიან. ისე, არც ფული მაქვს და ჩემი ფეხბაიგე, ნინა ნომრებში ახსნილი მიზეზების გამო, კარგა ხანი ვერ ითამაშებენ ფეხბურთს, ჰოდა, მეც რა მრჯიდა, გავეძურე სტადიონისკენ...

ფინალისნინა დღის ამბები კი ბუკლეტად უნდა გიამბოთ, რაკილა ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს ამდენი პრესკონფერენცია ერთ დღეში. თავად განსაჯეთ:

ჯერ ვენის მერიამ დაგვიფიცა და სთქვა რი შეხვედრა, ალა-ფურშტეტი და კონცერტი მოგვიწყო. სულ შუა საუკუნეების ჩაცმულობით, ულამაზესი კოხტაპრუნა "დიდგვაროვანი" გოგონები გვემსახურებოდნენ. ავდექი ამ მეფეოგე კაცმა და ორ ბარონესასთან ერთად გადავიე სურათი. მერე კვლავ ყოფილმა საბჭოელმა ჟურნალისტმა მომბაძა და ლაბის იყო კაბები გაუცვდათ...

მიშელ პლატინის პრესკონფერენცია სტადიონზე

უეფას პრეზიდენტი ერთი საათი პასუხობდა ჩვენს შეკითხვებს. მე ნინა რიგში ვიჯექი, ორიოდე მეტრი მაშორებდა ფრანგული ფეხბურთის ლეგენდას. ცოტათი გვაცინა კიდეც - ამასწინათ, პირს ვიპარსავდი და უცებ ერთი იდეა მომეფიდა, **ლუის არკონდას** დავურეკე და რემპონტაზე მოვიპატიჟეო. ალბათ, გახსოთ, პლატინის ჯარიმა და არკონდას დაჭერილ-გაშეებული გოლი, ქუთაისელებმა უმალ ანეკდოტი რომ მოარგეს...

რაც შეეხება სურიოზულ საითხებს, პლატინიმ 2016 წლის ფინალური ეტაპის მონაწილეთა რიცხვის გაზრდაზე ისაუბრა და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია. სამაგიეროდ, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა უკრაინასა და პოლონეთში 2012 წლის რემპიონატის ჩატარება - ამ ამბავსო, როგორც პლატინიმ თქვა, სექტემბერში გადავწყვეტთო. იტალიამ კი უკვე ნამოყო თავი - თუ რამეა, მზად ვარო!

ახლა შეეხეთი ეუფნება ნორვეგიას - მიდი მენ და მეც მოვდივარო! არც სხვა ქვეყნები არიან უარზე... ამან ისე გაამწარა უკრაინელი "ფუტბოლის" რედაქტორი არტიომ ფრანკოვი, რომ სულ ცეცხლი ყარა - თქვე კაი ხალხო, სამხრეთ აფრიკაში მსოფლიო რემპონატი კარს მოგვადგა და ჯერ ზოგი სტადიონის მშენებლობა არც დაწყებულა, ისთ არ უკრძალავთო, ჩვენ რა დავაშავეთ, გვაცალეთ ბატონოო... სოლიდარობის ნიმნად, მეც კარგა ხანს ვეცადე და მხოლოდ ბოლოს მომინია კითხვის დასმამ. ბუნებრივია, უკრაინა და პოლონეთი დავიცავი:

- ბატონო პრეზიდენტო, სექტემბრამდე ორი-სამი თვეა. იქნებ, სანამ უეფას აღმასკომი გადაწყვეტილებას მიიღებს, პირადად თქვენ რაბრძანდეთ პოლონეთსა და უკრაინაში, ოღონდაც, მხოლოდ და მხოლოდ, პირველ პირებს შეხვდით. აუხსენით მათ სიტუაცია და ყველაფერი მოგვარდება. ანდაც, უეფამ მიიწვიეთ ისინი. აღმოსავლეთევროპელები სხვა მენტალიტეტის ხალხია და მხოლოდ პირველი პირები თუ გადაწყვეტენ საქმეს. ეს ჩემპიონატი მარტო უკრანა-პოლონეთისთვის არაა მნიშვნელოვანი, მთელი აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების ღირსების საკითხია. ჩვენნ ხომ ვართ უეფას წევრები და ეს ინტეგრირებისთვის მეტად მნიშვნელოვანია...

- კარი იდეა, ძალიან კარ გი. აუცილებლად ჩავალთ. ისე, რომ იცოდეთ, ოთხი თვის წინათ გავაფრთხილეთ, დიდი სია გავუგზავნეთ, სადაც ყველაფერი აღნიშნულია, რაც უნდა გაკეთონ ან საკმაოდ კარგადაც აღნიშნული. ენახოთ....

ამით, პრესკონფერენცია დამთავრდა და უკრაინელმა კოლეგებმა დიდი მადლობა გადამიხადეს.

არსენ ვენგერის პრესკონფერენცია

ლეგენდარულმა მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა**, რომელიც სანავაოს ფორმა "ესტრელოს" სახეა ამ ჩემპიონატზე, ისე საინტერესოდ, გასაგებად და ამომწურავად ისაუბრა ფეხბურთზე, ტაქტიკურ სასახეებსა და თუ სხვა ნოუსსებზე, ჩემი ნება რომ იყოს, ამ ჯენტლმენ კაცს მსოფლიო საფეხბურთო აკადემიას ჩამოვაყალიბებინებდი, უდიდეს ხელფასს დავუნიშნავდი და რიგრიგობით გავუშვებდი ყველა ქვეყნის მწვრთნელთა გასანთალებლად...

ფრანც ბეკენბაუერისა და ფერნანდო იეროს პრესკონფერენცია

"ადიდასმა" ორი ლეგენდა მიიწვია და ფინალის წინ დაუპირისპირა. ფრანცმა, გერმანია მოიგებსო, იერომ - ესპანელებიო. საამისო არგუმენტებიც ბლომად მოიყვანეს. "საიზერმა" კი გამაკვირვა, როცა ჰკითხეს, 1988 წელს გერმანიაში რატომ ვერ გახდი ევროპის ჩემპიონებიო, განაცხადა - ჩვენს კარში დანიმნეულ მაშინდელ პენალტზე მსაჯს ახლაც არ ვეთანხმებიო. ქართველი გულშემატკივარი კი უფუოდ გიიხესებს, რომ გერმანელთა გაგანილი პენალტიც ასევე საეჭვო დარლვევას მოაჯვა.

თამაშის წინ ჩემი მეგობარი, "სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტი **იგორ რაბინერი** ენახე და მაგრად მაცინა: რუსეთში უცხოურ მოდას აპყოლიან და მრავალი ახალშობილისთვის **პიდინკის** სახელი, **გუუსი** (ზოგს ხუუსი) დაურქმევიათ. სამართში, ეკაატერინბურგსა და პეტერბურგში 16 ნლის შემდეგ ბავშვებს ეიეეკენ ეიეეკენ (ხუუ,ს) სერგეეიჩ სიდოროვი, გუუს აბდულრახმანოვიჩ ვარმაშევი, ეუუს ხაბიბულოყიჩ ხუ'აინოვი და ასე შემდეგ. თავად დიდაა, გუუსმა კი მრავალ მილიონ დოლარად ერთად, გუშინ რუსეთის დამსახურებული მწვრთნელის ტიტული მიიღო...

ევროფესტივალი

ინტერგენდერული ფეხბურთი

I რაუნდი. II ტაბერი

ლუსაკერი (ბერლინი)-ბორუსია (ფარბენი)	0:0 (4:1)
რეალ (ეინდჰოვენი)-ბარსელონა (ბარსელონა)	2:4 (1:5)
ბარსა ნარა (ესპანეთი)-პარანანი (ლიზა)	0:3 (0:1)
ეინინგენი (ესპანეთი)-ბეკა (ალბანეთი)	1:1 (0:0)
ლუსიერნერი (ალბანეთი)-ბეკა (ალბანეთი)	2:2 (0:0)
ბარსა (ესპანეთი)-ეინინგენი (ესპანეთი)	3:1 (0:2)
რენეგა (ბაკერფილდი)-ბარსა (ესპანეთი)	2:0 (0:0)
ბრიანგენი (ბერლინი)-ბეკა (ალბანეთი)	0:0 (2:2)
ოფა (ფარფენი)-ალბანეთ (ბერლინი)	2:1 (2:3)
ეინინგენ (ინგლისი)-ეინინგენ (ინგლისი)	4:2 (2:1)
ბერლინ (ალბანეთი)-ბეკა (ალბანეთი)	0:0 (3:0)
ბაბარიერ (ბერლინ)-ბარსა (ესპანეთი)	3:0 (2:1)
ბარა (ეინინგენ)-ლუსაკერ (ბერ. ბერლინი)	3:1 (3:2)
ეინინგენ (ინგლისი)-ბეკა (ალბანეთ)	0:2 (2:1)

II რაუნდი

ბუნდესკანეი-ბერლინ (ბერლინი)
ოფა (ფარფენ)-ბეკა (ალბანეთ)
ბარსელონერ (ეინინგენ)-ბეკა (ალბანეთ)
რენეგა (ბაკერფილდ)-ბეკ (ალბანეთ)
ოფა (ფარფენ)-ეინინგენერ (ესპანეთ)
ბეკიარეთ (ბერლინ)-ეინინგენ (ესპანეთ)
ესპანელ (ბარსელონ)-ეინინგენ (ინგლისი)
ბრიანგენერ (ბერლინ)-ბარსა (ესპანეთ)
ბეკიარეთ (ბერლინ)-ბარსა (ესპანეთ)
ეინინგენ (ინგლისი)-ეინინგენ (ინგლისი)
ბრიანგენ (ბერლინ)-ეინინგენ (ინგლისი)
ესპანელ (ბარსელონ)-ეინინგენ (ინგლისი)
რენეგ (ლონდონ)-ალბანეთ (ბერლინ)
ბეკერ (ესპანეთ)-ეინინგენ (ინგლისი)
ბარსა (ეინინგენ)-ეინინგენ (ინგლისი)

პირველი მატჩები 5-6 ივლისს გაიმართება, საპასუხო - 12-13 ივლისს

ფინეთი

X ტური

ვიპ-ფარაონები 3:2

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ინტერი	9	6	3	0	16-4	21
2. ლუანი	10	6	1	3	15-10	19
3. ვიპ	10	4	5	1	19-8	17
4. ფინეთ	9	5	2	2	13-6	17
5. ტურკუ	10	4	2	4	13-12	14
6. ვიპპა	9	3	4	2	6-4	13
7. ფარაონები	10	3	4	3	14-15	13
8. ფარაონები	9	3	3	3	11-12	12
9. ჯუნა	9	6	1	2	12-6	11
10. ბაკა	9	3	2	4	11-15	11
11. ტაბაკერა	9	2	4	3	10-13	10
12. ტარო	9	2. 3	4.	6-16		9
13. ქუალიო	9	1	3	5	6-15	6
14. ტრუნეი	9	0	2	7	5-21	2

II დივიზიონი

IX ტური

იიპო-ოვეიასკეული 0:5, ვიფკ-პამეენლინა 1:1, კაკ-ეარაპული 5:0, კემი-ა 3:5 4:2; დანარჩენი მატჩები დღეს გაიმართება.

ინგლანდია

IX ტური

ბურნლი-ულვერჰემპტონი	0:3
ბოლტონი-ა	2:2
ეინსფორდ-ფულჰემი	2:1
ბლეკბერნ-ალდერშოტი	დღეს
რადფორდი-ა.ვილა	დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბლეკბერნ	9	7	1	1	21-9	22
2. ულვერჰემპტონ	8	6	0	2	20-13	18
3. ფულჰემ	9	5	0	4	10-7	15
4. ფულჰემი	9	5	0	4	11-9	15
5. ბლეკბერ	9	4	1	4	14-13	13
6. ტოტენჰემ	8	4	0	4	15-11	12
7. ტოტენჰემ	9	3	3	3	13-17	12
8. ბოლტონელ	9	3	1	5	11-16	12
9. ბლეკბლეზერ	8	3	2	3	13-13	11
10. ფულჰემელ	9	3	0	6	10-16	9
11. ბლეკბერ	8	1	4	3	7-11	7
12. ბა	9	1	2	6	10-20	5

ბუნდესლიგა

XVI ტური

ფერნ-ს.ბ. ბაბაკ	0:3
ბაიერნ-ფრაიბურგ	0:1
ეინტრაქტი-ეინტ	0:2
ფინ ბაბაკ-ბერლ	1:0
ეინ ბაბაკ-ლეიფციგ	1:3
ბოუსიეიანი-ეინტ	მაბალ|ბერ

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბოუსიეიანი	15	11	3	1	22-7	36
2. ს.ბ. ბაბაკ	16	10	4	2	26-11	34
3. ეინტ	16	8	5	3	27-13	29
4. ფერნ	16	8.	5	3	20-13	29
5. ფრაიბურგ	16	7	4.	5	19-11	25
6. ლეიფციგ	16	6	5	5	20-16	23
7. ბრემ	16	6	4	6	12-20	22
8. ბაიერ	15	4	6	5	15-14	18
9. ფინ ბაბაკ	16	4	2	10	11-24	14
10. ჰანნოვერ	16	2	7	7	11-19	13
11. ა. რაბლერერ	16	2	3	11	8-28	9
12. ბაბაკ	16	1	4	11	11-26	7

ესპანეთი

XI ტური

ბილბაო ბალეარი-ალბაკეტი	1:1
ბაბაკი-ბარსა	0:0
ლევანტ-ესპანიოლ	1:1
ესპანელ-ბარსელონ	2:4
ხაბიერეთ-ლეონესტერი	2:1
ალბაკეტ-ბილბაო	1:1
ზარაგოსა-ბოლეარეს	დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ესპანელ	11	7	3	1	20-8	24
2. ზარაგოსა	10	6	1	3	16-11	19
3. ბილბაო ბალბაო	11	5	3	3	12-11	18
4. ლევან	11	5	2	4	15-11	17
5. ხაბიერეთ	11	4	4	3	12-12	16
6. ბაბაკ	11	4	4	3	16-17	16
7. ალბეტეს	11	5	1	5	15-16	16
8. ალბალეტეს	11	4	3	4	16-12	15
9. ბარსელონ	10	4	3	3	10-7	15
10. ბარსელონა	10	4	2	4	12-10	14
11. ბილბაო	11	2	5	4	12-14	11
12. ალბალეტეს	11	3	1	7	16-23	10
13. ზარაგოსა	11	2	3	6	11-18	9
14. ბაბაკ	10	1	3	6	6-19	6

II დივიზიონი

XI ტური

ბრნინ-სგარტი 0:1; ბუუგესუნდერლე ვაში 2:3; ბოსი-ალტა 4:2; ნიბერგსუნდერლ გრეწლაბენ 1:3, ნოგიდენ-პოიდ 5:1; სანდეფსონ-ალბენიენი 2:0; სანდეფსონ-სპარტა 2:1; სიოუნდალპოინტფოსი 3:1.

გრაზილია

VIII ტური

ბორაფეგეზა-ანგარეზ	0:0
ესპორ-ბაბაბეზ	4:2
ბოიარეა-ბოიეზ	3:0
ა.ბ. ბაბაკეზეზ-ეარიბეა	1:1
ბრაზილიერ-ა.ბ ბაბაკ	1:1
ფლეკეფლეზ-ა. ბოლეარ	1:1
ფორტ ალეგრ-ფლეკეზეზ	1:2
ბრაზილ-ფლაკი	მე.ფსკერელ
ფლეკეზეზ-ბოლეარ	მე.ფსკერელ
ალბეზეზეზ-ნაბეზეზ	მე.ფსკერელ

ჩილე

ა.ეარტაბა

II ტური

ბაბაკეზეზ-ოეეზეზ	2:3
ეზ. ბაბეზეზ-ეეზაბეზ	0:1
ალბაკეზ-ეზ. ბაბაკეზეზ	0:0
ეზ. ეზეზაკეზეზ-ბაბეზბაბაკ	3:1
ეზეზეზ-ეაბეზაბ	3:1
ბაბეზეზ-ალ ეზ	2:1
ეეზეზეზ-ეზ ეზ	0:2
ეზეზეზ-ეზ ეზ	1:1
ეზ. ეზეზ-ნაბეზეზ	მე.ფსკერელ
ა. ეზეზეზ-ალ. ეზეზ	ბაბეზეზ

 პეკინი 2008. ოლიმპიადის მონაწილენი. ოთარ თუშიშვილი (ჭიდაობა)

კვარცხლბეკს გაუშინაურდა



ქართველ მოჭიდაველებს ბუდაპეშტის სასტუმროს წინ მოეყარათ თავი. სპორტის სასახლისკენ დაძვრას აპირებდნენ, მოულოდნელად სახელოვანი ფალავანი, ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, სეოოის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი** რომ გამოეცხადათ. ყველანი მას შემოეხვიენენ.

- როგორ განწყობაზე ხართ? – იკითხა „სტუმარმა".

- ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ, - ერთხმად უპასუხეს ბიჭებმა.

- აბა, თქვენ იცით! ბუდაპეშტის ხალიჩა ქართველ ფალავანებს კარგად გვაქვს დაცდილი. 1958 წელს გივი კარტოზიამ და როსტომ აბაშიძემ მსოფლიო ჩემპიონატის ფედალი აქ მოიპოვეს. სხვათა შორის, პირველად მეც აქ გავხდი მსოფლიო ჩემპიონი...

მოჭიდაველებს იმედანი განწყობა განუმტკიცდა. ერთ-ერთმა იხუმრა კიდეც. გორგლა **თარა თუშიშვილმაც** რაღაცის მოყოლა დაიპირა, მაგრამ მანც გაჩუმება არჩია.

რა უნდა გვთქვა? – ვკითხე ოთარს?

- ბუდაპეშტი ხომ ჩემთვისაც ლბლიანი ქალაქია. 2001 წელს სნორეფ ლასლო პაპის სახელობის სპორტის სასახლეში მოვიპოვე ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მეორე მედალი. პირველად ამგვარი ჯილდო 1999 წელს მერგო.

თუშიშვილმა უნგრეთის დედაქალაქში 2005 წელსაც მესამე ადგილი დაიკავა, ოღონდ მსოფლიო ჩემპიონატზე. ოქროსკენ მიმავალი გზა ბულგარელმა სერგიმ ბარზაკოვმა გადაუღობა. მისი სახელის ხსენებაზე ოთარს სახეზე სინთეზემ გადაურბინა.

- ეს კაცი ჩემგან ერთ-ორ ანრის ჯაჭვანი, თარსი თვალ[illegible] ალეს, - იხუმრა გორგლმა ფალავანმა. – 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კორეელ მეტოქეს მერვედფინალში 10-ს ეუბეკნი, მაგრამ ნეკნი დავიზიანე[illegible] ეა ნახევარფინალის საგზური უბრალ[illegible]ელად დავუთმე ბულგარელს, რო[illegible]ელაც ჩემი ჭიდაობისთვის თვალი [illegible] მოუთვრება. 2003 წელს „მედისონ [illegible]ერ გარდენში" კუბელთან შერკინებ[illegible]ას ხალიჩას მოუტეხ[illegible]ებოდა, რადგან [illegible]ამარკვევის შემთხ[illegible]ვევაში მას შევხვ[illegible]ეოდი. სამწუხაროდ, მაშინაც ნეკნი გავ[illegible]ეხე. ორი წლის შემდეგ ბუდაპეშტის [illegible]ოელიო ჩემპიონატის ნახევარფინ[illegible]ში ჩვენი ლუღი შედგა. დღესდეს გ[illegible]ზომინანელებია, რომ წარტაგების ძახსი[illegible]ერ გამოვიყენე – მესამე პერიოდში ეტბოჭვისას ხელიდან დამისხტა და გაიძარ[illegible]ვა, თუმცა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ვერ შეინარჩუნა, გადა-მწყვეტი ორთაბრძოლა რუსეთელ მურთაზალიევთან წააგო.

კიდევ კარგი, რომ უნგრეთის დედაქალაქში „ბრინჯაო" მოვიპოვე, თორემ ჭიდაობისთვის თავის დანებებას ვაპირებდი. ათენის ოლიმპიადაზე განცდილი მარცხის შემდეგ ისეთ სტრესულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რომ საკუთარ თავს ვერ ვცნობდი. დარბაზისკენ გახედვაც არ მონდოდა. ნონაშიც მოვიმაგე. მწვრთნელებისა და მეგობრების თანადგომით ნერვები მოვთოკე და ვარჯიში განვაახლე.

ნუგზარ სხირელის 30 წლის შეგრდნილ (დაიბადა 1978 წლის 14 იენის. ჭიდაობა 10 წლისამ მერან ბუზოიანელის ხელმძღვანელობით დაიწყო. 1991 წლიდან სხირელი ავარჯიშებს) და ბულგარელის გზები 2006 წელს კიდევ ორჯერ გადაიკვეთა. ევროპის ჩემპიონატის მესამე წრეში სერაფიმმა იმარჯვა, გუანჩაოუს მსოფლიო ჩემპიონატზე კი, ოთარმა დამაჯერებლად აჯობა. მერე ნახევარფინალში მსოფლიო ჩემპიონ მურთაზალიევის მძლეველი ანდრეი სტადნიუკი. პირველი პერიოდის შემდეგ დანნაურდა მაგრამ...

მეორე პერიოდში გადაეწყვიტე, მეტოქეის შეცდომას დაელოდებოდი. მონეტის იმედიც მქონდა. ამგვარმა გაორრბამ დამეალა და ორთაბრძოლა დავიმე, - თქვა პაექრების დამთავრებისას თუშიშვილმა. არანაკლებ განმაღლებული იყო ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა თორმანიძე: „ზაფიკთან ვერ გარისკა. პირველი პერიოდის მოგების შემდეგ ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო ფიქრი. არადა, ქულის აღება დავაკელეთ. ჩემი აზრით, ოთარმა ვერ დაიჯერა, რომ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა შეეძლო და ამან ნაადგენის". ოთარ თუშიშვილმა მარშანდელი სეზონი უიღბლოდ დაიწყო: ტრავმა დროულად ვერ მოიშუშა, ნონაც მოემატა და სანერვიული გრაფიკიც დაეწა. კრასნოიარსკში მსოფლიო თასზე მანნე იფიდეგა. ტკივილმა თავი შეახსენა და ზედიზედ ორი შეეხეთა წააგო. მწვრთნელებმა გადაწყვიტეს ევროპის ჩემპიონატზე არ უსასპარზია ტრავმის გამო, თუმცა ვარჯიში წუთითაც არ შეუწყვეტია. ნინა ორ ოლიმპიადაზე ხელი მომეცარა და ყველაფერს გავაკეთებ, მესამე ცდა შედეგიანი გამოდგესო, ამბობს. არ ტყუილი ქადილია, რადგან გორელი ფალავანი ბოლო ნლებში კვარცხლბეკს გაუშინაურდა და სპორტული კოლექციია „ვერცხლითა" და „ბრინჯაოებით" გაიმდიდრა.

ჩვენ, ქართველები, მაქსიმალისტები ვართ და ყოველთვის უფრო მეტს მოვითხოვთ, თორემ მსოფლიოს ბევრ განვითარებულ და დაღეხენილ ქვეყანას ამგვარ ჯილდოებზე ოცნებაც არ შეუძლია, თუმცა, ერთიცაა, რადგან ვითხოვთ, ესე იგი, ძალგვიძს. ოთარ თუშიშვილმაც უნდა ეს და ამეანნში მიზნის მისაღწევად არაფერს დაიშურებს.

ეკა დანელია

ჭიდაობა

ლატვიაში გაილალეს ჩვენებურად, ქართულად!

„ათენდან რვა მედალი – შესანიშნავია! ყოჩაღ, ქართველებო" - ხმამაღალა ნამოძახა რუსეთის ნაკრების თავკაცმა **ერიკ ბგაევმა** და სახეგაბადრული გადაეხვია ქართველ კოლეგას, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს. საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **თამაზ ბენდელიანმელი** იმ დღეს სხვა დელეგაციებისგანაც მიიღო გულნრფელი მოლოცვები.

ოქროს სამი, ამდენივე ვერცხლისა და ბრინჯაოს ორი მედალი – ასეთი ნადაღლით დაბრუნდა ლატვიის ქალაქ დაუგავპილსიდან საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრები, რომელმაც 1991-1992 წლებში დამაფუძნებელთა ევროპის ჩემპიონატში ისასპრეზა. ტურნირში ქართველი ფალავანთა მიღწევებზე გვესაუბრება ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თამაზ ბენდელიანმელი.**

- ვლადიმერ ხინჩიგაშვილის გამოსვლით დავიწყებ, - გვითხრა მან. – გორელი მოჭიდავე მარშანდელი ევროპის პრიზიორია. ნლეკანდელ ტურნირებზე დაამტკიცა, რომ 54 კილოში ტოლი არ ჰყავს. ეს ევროპის პირველობაზეც გამოჩნდა, სადაც მან ხუთი მეტოქე დაამარცხა და ოქროს პირველი მედალი მოუტანა ჩვენს დელეგაციას. ლადომ ნახევარფინალში მარშანდელ ჩემპიონს, რუს ემეეევს მოუგო, ფინალში კი აზერბაიჯანელი ჰაჯი ალიევს სძლია. საერთო გუნდურ პირველობისთვის ამ გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ჩვენსა და აზერბაიჯანელებს შორის უნდა გარკვეულიყო უძლიერესი.

სამ წონით კატეგორიაში დავუპირისპირდი მეზობლებს გადამწყვეტ ეტაპზე. პირველი ფინალი 46 კილოში დავთმეთ – ყველაზელი **ზურან იაკობაშვილი ტოგროლ ასაკაროს** დანებდა. არადა, ქართველმა მოჭიდავემ აზერბაიჯანელის მიისპი თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე იოლად აჯობა. ეტყობა, ამჯერად სათანადოდ ვერ შეეფასა მეტოქე. საერთო ფიზიკურ მოშზადებაზე წონის დაკლებამაც იმოქმედა.

ჩვენი გუნდიდან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა გორელი **თენგიზ ჩოჩიშვილი** (63 კგ), რომელსაც თავიდანვე „ოქროს" ვუგეგმავდით და იმედები გაამართლა. ფინალში აზერბაიჯანელი **იბრაგიმ ოუსუფოვი** დაამარცხა საერთო ანგარიშით 2:1, რითაც საერთო გუნდურ პირველობის ბედი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვიტა.

არ მინდა, ვინმეს ნარმაგება დავაკნინო, მაგრამ, როგორც ტურნირზე გვითხრეს, აზერბაიჯანელებს რუსეთიდან სამი გადაზრდილი მოჭიდავე ჰყავდათ ჩამოყვანილი და მათი მეშვეობით აპირებდნენ ფოსს გასვლას, თუმცა, არაფერი გამოუვიდათ.

გაგვახარა **მამუკა კორძაიამაც** (76 კგ, აჭარა). ზედიზედ მან ოთხი მეტოქე დაამარცხა. ფინალში რუს **ალბერტ სიბილოვთან** ჭიდაობისას ცხენირი დაიზიანა, მაგრამ მესამე რაუნდში გონგამდეს სამი ნამით ადრე ორქულიანი გდებით რეჩმიონობა დიამსახურა.

შესაძლებლობის მაქსიმუმი აჩვენა ხაუურელმა **აკაკი მონონელიმ** (42 კგ), ფინალამდეც უწია, თუმცა რუსეთის გუნდის წევრ **მაგომედ მაგომედალიევთან** ვერაფერს გახდა და მეორე ადგილს დასჯერდა. ასევე მეორე იყო ქუთაისელი **თორნიკე ლურსმანაშვილი** (58 კგ), რომელიც თავის ასაკთან შედარებით საკმაოდ გამოცდილია, ფინალში რუს **სოსლან რამბოლოვს** მანნე ვერ აჯობა.

თითო პაექრობა ნაგაგს და მესამე ადგილებით დაკმაყოფილდნენ ხაუურელი **ლევან ქუღუხსაშვილი** (50 კგ) და გორელი **დავით გალეკვაშვილი** (69 კგ). არადა, მეტი შეეძლოთ.

განსაკუთრებით ყაზბეგელი **დავით მარსაგიშვილის** (85 კგ) მარცხმა დაგვწყვიტა გული. იგი იმდენად ძლიერია, რომ ტურნირის დაწყებამდე სამეულში მოხვედრას ვვარაუდობდით. მან კი მოულოდნელად პირველსავე წრეში აზერბაიჯანელი **ასლანბეკ ალბოროვთან** წააგო. ასევე კვარცხლბეკის მიღმა აღმოჩნდა ბოლნისელი **გიორგი ასლანიშვილი** (100 კგ). ყოველივე მოუხდავად, დაუფავიქლაში ნაჩვენები შედეგი, მარცოლაც, შეუდარებელია.

– ეტყობა, მოსამზადებელი პერიოდი ნაყოფიერად გაიარეთ?

- თბილისში „მართვეს" ბაზაზე ვემზადებოდით. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ჩვენთვის ვარჯიშისა და დასვენების შესაბამისი პირობები შეექმნათ. ჭიდაობის ეროვნული ფედერაციაც დაგვეხმარა, აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის საერთაშორისო ტურნირებზე გვეასპარეზა და ნაკრების კანდიდატები იქ გამოგვეცადა. მაღლობის მეტი რა გვეთქმის. მაღლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენო ჩემპიონთა და პრიზიორთა მწვრთნელები – **ნუგზარ სხირელი, გია კვინიკაძე, გივი მეტრეველი, კობა ხვედელიანი, ჯამბერ აფხაზავა ასევე ნაკრების ჩემთან ერთად მომუშავე ამირან მაისურაძე და გია კოტიშაძე,** რომელებმაც წარმატების მისაღწევად ძალ-ღონე არ დაიშურეს. ევროპის პირველობაზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ კარგი ბიჭები გვყავს. საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, მარილაც ღირსეული ცვლა ეზრდება...

დაუგავპილსში „თავისუფლებისგან" ესტაფეტა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდაველება ჩაიბარეს.

ეკა დანელია

ცხენრა, მარცხნიდან: ზურან იაკობაშვილი (II ადგილი), თენგიზ ჩოჩიშვილი (I ადგილი), ვლადიმერ ხინჩიგაშვილი (I ადგილი), თორნიკე ლურსმანაშვილი (II ადგილი), დავით გალეკვაშვილი (III ადგილი)

ზემოთ, მარცხნიდან: **დავით მარსაგიშვილი (VIII ადგილი), გია კოტიშაძე (მწვრთნელი), გიორგი ასლანიშვილი (VIII ადგილი), თამაზ ბენდელიანიშვილი (უფროსი მწვრთნელი), მამუკა კორძაია (I ადგილი), ლევან ქუღუხსაშვილი (III ადგილი)**

ჩატარდა ორი სპორტული ფედერაციის ყრილობა: ერთმა ხმაურით ჩაბარდა, მეორემ – უხმაუროდ, მაგრამ პრეზიდენტი ორივეგან აირჩიეს – დროებით!

ჭადრაკს გიორგაძე უნიამძღვრებს





გია გიორგაძე

ლამის საქადრაკო საგიდ ქეცული ამბავი, გუშინ დასარულდა და ჭადრაკის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი ჰყავს, - საერთაშორისო დიდოსტატი **გია გიორგაძე** ყრილობამ ორი წლით აირჩია. მოკლედ ასე შეიძლება ითქვას გუშინდელ დღეზე, მაგრამ თუ როგორ განვითარდა მოვლენები და როგორ დადგა საბოლოო შედეგი, მეთხეველისთვის მეტად საინტერესო უნდა იყოს; ჩვენც ვერაფერით ავუვლით გვერდს ყრილობის მსვლელობას, რადგანაც უამრავი რამ ითქვა; საკუთარი აზრები ორივე კანდიდატის მხარდამჭერებმა გამოხატეს და გვარიანი ბოლემიკა ეი შედგა. თუმცა **ლევან ფანცულაიას** მოხსენებითმა სიტყვამ კარდინალურად შეეცვალა საკმაოდ მშვიდ ვითარებაში დანაკეთები სხდომა და უამრავი კითხვაც დარჩა პასუხგაუცემელი. ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ყრილობის დელეგატები შუეცდნენ და თუ როგორ მოახერხეს, ამას ქვემოთ იხილავთ.

თავიდან დავიწყოთ. ყრილობის დელეგატთა რაოდენობა სულ 127 იყო; გუშინ, 71 მობრძანდა. წესდებით, დელეგატს ხმის მიცემა ყრილობაზე დაუსნრებულდაც შეუძლია, ამისთვის ნინასნარი შეტყობინების წერილს, ტარეონო რომ ვიმპაროთ - "პროქსს" წერს. ვინაიდან დღეისთვის საკარავეველოში დელეგატთა საკმაოდ დიდი რაოდენობა არ იმყოფება და თბილისში ჩამოსული ვერ მოახერხა, ნინასნარი შეტყობინებები მრავლად დაგროვდა. მათი ვინაობა და ისიც, თუ ვინ ვის დაუფარა მხარი, ხმის დამთელელ კომისიის შედეგების შეჯამებისას უნდა გამხდარიყო ცნობილი. თავიდან 52 "პროქსი" შეგროვებულა; თუმცა რამდენიმე მათგანი, ჭარაკეული წესის დაუცველობის გამო, კომისიამ გაუარქა. საბოლოოდ 47 მიიწიეს კანონიერად. "პროქსების" ჩათვლით, დელეგატთა რაოდენობა 118-ით გამხსნა ზღვარ, რაც კანონის მოთხოვნას სრულად აკმაყოფილებდა (ორ მესამედზე მეტი).

სხდომას დიდოსტატი **თამაზ გიორგაძე** ხელმძღვანელობდა. დღის წესრიგში სამი საკითხი იყო: 1. ყრილობების შორის განელილი მუშამის ანგარიში; 2. ინფორმაცია ყრილობის რიგგარეშე მოწვევის შესახებ და 3. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის პრეზიდენტის მოადგილეობის შემსრულებელი, დიდოსტატი **თამაზ ხმიადაშვილმა.** მისი აზრით, "პროქსების" პრეკედენტი არ უნდა დაეშვათ, მაგრამ წესდებაში რახან ეწერა, ვეღარ შეენინააღმდეგა. "პროქსების" დაწერის დროს განხორციელდა ზენოლა; იყო მუქარები და იძულება დელეგატების გარკვეულ ჯგუფზე. ასეთი რამ დაუშვებელია. ყრილობა ნამდვილი უნდა იყოს", - აღნიშნა ხმიადაშვილმა.

რაც შეეხება ფედერაციის საქმიანობას, ხმიადაშვილმა ბრძანა, რომ ფოფილმა პრეზიდენტმა **რომან სიჭინავამ** და მისმა სამმა ვიცე-პრეზიდენტმა, ვენერალური მდივნის ჩათვლით, დანაშაულებრივად ნარჩაურთს მუშამაზა; სიჭინავა მოსკოვში ქეერფულად გაიპარა და ალარც გამოჩენილა. "ვიცე-პრეზიდენტებიდან მხოლოდ მე დავრჩი, რადგანაც ამ სიბინძურეში გარეული არ ვიყავი. ქართველი მოჭადრაკეებს კი ნარჩატბტები 2007-08 წლებში საკმაოდ ჭარხდათ: **ნაზი პაიკიძე** 14 ნლამდე ეეროპისა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა; **ქეთი ნარანლაშვილი** 16 ნლამდე ეეროპაში მესამე იყო, მსოფლიო ჩემპიონატზე კი პირველი ადგილი დაიკავა. ეეროპაზე მესამე იყო **ლევან ბრეგაძე,** რომელიც 16 ნლამდე ასაკში გამოდიოდა. ნლევანდელ ეეროპის ქალთა ჩემპიონობაზე, რომელიც ბუდაპეშთის ქალაქ პლოდივში ჩატარდა, **ნანა ძაგნიძემ** და **მაია ლომბინიშვილმა** 2009 ნლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზრაში მოიპოვეს; უფრო ადრე კი ნლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის უფლება ექმსმა ქართველმა გოგონამ დაიმსახურა. იყო სხვა ნარმატებებიც.

ჩემი ხანმოკლე ხელმძღვანელობისას სულ 7 გამგეკრა ჩატარდა. მსურდა, ყრილობა, როგორც ნესი, ამ ნლის დეკემბერში ჩატარებულიყო, მაგრამ მხარი არავინ დამჭირა. თუმცა გამგეობის ზოგიერთი ნევრს ობიექტურობისთვის მადლობას მოვახსენებ: ასეთი იყო ბატონი **ვაჟა ბუმბალაძე, სულიკო მგელიშვილი, გოგი ხომერიკი** და **ლევან ფანცულაია.**

12 აპრილიდან ემუშაობ და პროდუქტიულადაც: გავიხატეთ ეალები და რამდენიმე ტურნირში შესაბამისი თანხები გადავირიცხეთ, რაც აუცილებელი პირობა იყო და აქამდე არ კეთდებოდა. მართალია, სპორტის დეპარტამენტი ფინანსურად გვეხმარება, მაგრამ ყველაფერს ვერ სნდგება და ფედერაციამ ტურნირებიდან შემოსული თანხებით შესალო, ფიდესთან პირნათელი დარჩენილიყო. თუმცა ვალები არსებობს და ის საკმაოდ დიდი რაოდენობისაა, ამიტომ ვინც უნდა მოვიდეს, ამ პასუხისგებლობას ვერ გაექცევა. დავძენ, რომ ჩემი მუშაობის პერიოდში 21 ნარმატებულ მოჭადრაკეს დაენიშნა სტიპენდია.

ამის შემდეგ მეორე საკითხზე სიტყვა თამაზ გიორგაძემ აიღო. მეთხეველს ნებართვით ამ საკითხს არ გავაჭარბებთ, თუ რატომ დადგა დღის წესრიგში რიგგარეშე ყრილობის მოწვევის საკითხი, უამრავჯერ გვოთქვამს და მეთხეველმაც შესაბამისად უნყის ყველაფერი. ბატონმა თამაზმა კიდევ ერთხელ გაიხსენა ეს მიზეზები... ცხადია, ეამოითქვა აღშფოთება სიჭინავამ და მისი ადმინისტრაციის მუშაობის გამო და დასვა საკითხი, შეეფასებინათ ფედერაციის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად, ხმიადაშვილის - დადებითად..

ვიდრე მესამე და მთავარ საკითხზე გადავიდოდნენ, კამათი გაიმართა. იყო მოთხოვნა, შეფასებულიყო ზუსტად ნინა ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი მუშაობა და თუ კრიმინალი იყო, მასალა მიეცა პროკურატურას გადასაცემად. ამისგან თავის დროზე შესაბამისმა სამეები კომისიამ, რომელიც ფედერაციაში შეიქმნა, თავი შეიკავა, რათა კიდევ უფრო არ გაგტეხოდა ქართული ჭადრაკის სახელი. ბატონმა **გიგი გამრეკელმა,** რომელიც მხეკოანნი მოჭადრაკეკ და ჟურნალისტია, ქართული ჭადრაკის პრობლემებზე ისაუბრა და მათი გამოსწორებისკენ მოუნდა ყველას.

სიტყვა ითხოვა ქალბატონმა **ციური კობაძემ,** რომელიც, ყველას გასაკვირად, დამსაბურებების მოუხდენდა, პირველად იყო დელეგატი და ისიც თბილისს ჭადრაკის ფედერაციას წარადგინა.

კანდიდატებიდან პირველად სიტყვით ლევან ფანცულაია გამოვიდა. მან გამარტა, თუ რატომ ისურვა პრეზიდენტობა ასე ადრეულ ასაკში: მსურდა, ქალობში ჩაფლული ქართული ჭადრაკი ნუმპიდან ამოშეყვანა; ბოლო მოშელი კოოპერაციისთვის, მომეზიდა ფინანსები, დავხმარებოდი მოჭადრაკეებს და მათთვის წერთნილი ადამიანური პირობები შეშექმნა; საქმეს გულითა და სამართლიანად მივდგომოდი და ამით ქართული ჭადრაკის სახელის რეპუტაციაცა მიმეხდინა. ფინანსურად გვერდში მედგა ბატონი **ვალერი ბაბეკია** და მისი ბიზნესქნი მეგობრები.... სამწუხაროდ, ამის საშუალება არ მომეცა. გარდა ამისა, რომ "პროქსების" დაწერას აიძულებდნენ ხალხს და ამინებდნენ, ყრილობაც არალეგიტიმურია, რადგან მის მოსაწვევად, საკითხის განხილვისას, გამგეობაზე ხმათა ორ მესამედს არ მოუღია გადაწყვეტილება. ასე რომ, მიგმართავ ჩემ მხარდამჭერებს და მოვუწოდებ, დატოვონ არალეგიტიმური ყრილობა.

ყრილობა მართლაც დატოვა საკმაოდ მოზრდილმა ჯგუფმა, რომელშიც ძირითადად ახალგაზრდა მოჭადრაკეები ჭარბობდნენ.

უცნაური სიტუაცია შეიქმნა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ **გია გალდავამ** დასვა საკითხი: არის თუ არა ლევან ფანცულაიას ნათქვამი სიმართლე? თუ ლეგიტიმური თუ არა ყრილობა? ბატონმა ვაჟა ბუმბალაძემ განმარტა: მართალია, რომ გამგეობამ ორი მესამედით უნდა მიიღოს ყრილობის ჩატარების გადაწყვეტილება, მაგრამ ლევანს ერთი რამ გამორჩა: იქ ასე ნერია: გამგეობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ხმების ორი მესამედით ან გამგეობის გადაწყვეტილებით. მე ვესნრებოდი გამგეობის სხდომას და ამ სხდომასაც, ადგა გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ამიტომ დელეგატული ყრილობა ლეგიტიმურია.

ამის შემდეგ სიტყვით ქალბატონი **ნანა ალექსანდრია** გამოვიდა, რომელმაც ქართული ჭადრაკის ცუდ დღეში ჩაგარდნაში საკუთარი თავიც დადანაშაულა და უფროსი თაობაც, რისთვისაც ბოდიში მოიიხადა. ახლა გამოსნორების შანსი გვაქვს, ეს შანსი არ უნდა დავკარგოთ - თქვა მან და და გია გიორგაძეს დაუჭირა მხარი.

გიას ასევე მხარი დაუჭირა **ნონა გაფრინდაშვილმა** და აღნიშნა, რომ ფანცულაიას კანდიდატურამ თავიდანვე გააოცა.

გია გიორგაძემ თქვა, რომ არც ისე დრამატულად არის საქმე, როგორც ბევრს ჰგონია. "ჩემი მხარდამჭერები ქართული ჭადრაკის ტკივილმა გააერთიანა, უამრავი პრობლემაა და ჩემ გუნდთან ერთად ვეძებეთ ვითარების გამოსწორებას"-აღნიშნა მან საკუთარი პროგრამის წარდგენისას. ამასთან, ყურადღება გაამახვილა პრობლემებზე და მისი გადაჭრის გზებზე, რაზეც ჩვენს მკითხველებს ცალკე მოვუთხრობთ ახლო მომავალში.

მოუხდებად იმისა, რომ ფანცულაიამ და ბისმა მხარდამჭერებმა ყრილობა დატოვეს, ფანცულაიას საკუთარი კანდიდატურის მოხსნის შესახებ განცხადება არ გაუკეთებია. ფარული კენჭისყრით ჯაშში გია გიორგაძემ 73 ხმა მიიღო, ფანცულაიამ - 23.

ახალარჩეულმა პრეზიდენტმა საკუთარი გუნდი წარადგინა: ვიცე-პრეზიდენტად **ზურაბ მიქაძე** დაასახელა, გენერალურ მდივნად - **ბეგლარ ჯობავა** კანდიდატები ერთხმად დამტკიცდა. **შეიქმნა ჯგუფი, რომელიც ახალ ნესდებაზე იმუშავებს. სარეზერვო კომისიის მერად თხელიძე უხელმძღვანელებს.**

ზვიად შათირიშვილი

ხელგაურთი

ზაურ ცხადაძე სამი თვით და ოთხწლიანი პერსპექტივით

საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ გუშინ, რიგგარეშე ყრილობა ჩაატარა და ახალი პრეზიდენტი აირჩია.

რაკიდა ვადით განსაზღვრული საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა ჰეკინის ოლიმპიადის შემდეგაა, პრეზიდენტი, გუშინ, ამიტომაც სამთვიანი ვადით აირჩიეს, რომელსაც თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, შემოდგომით 4 ნლით გაუგრძელებენ უფლებამოსილების მანდატს.

რადგან გუშინ ასარჩევი და საყოფამნო ფაქტობრივად, არაფერი იყო, ყველაფერი საკმაოდ სწრაფად და მხიარულ ნოტაზე დასრულდა. 19 ხმოსანი დელეგატიდან, გამოცხადდა 17, რაც ქვორუმისთვის საკმარისი იყო. ხმის მიცემის პროცედურამდე, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ჯემალ ცერცვაძემ** პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი **ზაურ ცხადაძე** ნარუდგინა დარბაზში მყოფ ქართველი ხელბურთის სამყაროს.

